პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 75 (13469) | შაბათი, 2 აპრილი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

წინ, ლენინური კურსით!

მოსკოვი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობა. ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ლე ზუანის გამოსვლის შემდეგ ლენინგრადის მუშათა და ყველა მშრომელის სახელით ვიეტნამის მშრომელთა პარტიის დელეგაციას მღელვარე სიტყვით მიმართა ყრილობის დელეგატმა სკკპ XXII ყრილობის სახელობის ლითონის ქარხნის ელექტროშემდუღებელმა ნ. მ. სავინოვმა. მან ამხანაგ ლე ზუანს გადასცა ლენინგრადელ მუშათა ალამი. სურათზე: ალმის გადაცემის მომენტი.

ფოტო ვ. ეგოროვისა და ვ. სავოსტიანოვისა. (საკავშირო ფოტოქრონიკა).

საინფორმაციო ცნობა

1 აპრილს მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში, მუშაობას განაგრძობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მორიგი XXIII ყრილობა.

ყრილობა განიხილავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებას და სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებას.

დღის სხდომაზე გამოვიდნენ ამხანაგები: კ. კ. ნიკოლაევი — სკკპ სვერდლოვსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. ვ. გრიშინი — საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე, ზ. ბ. პუხოვი — ივანოვოს სართავ-საქსოვი ფაბრიკის მქსოველი (ივანოვოს პარტორგანიზაცია), მ. ა. შოლოხოვი — მწერალი (როსტოვის პარტორგანიზაცია).

შემდეგ ყრილობას მიესალმნენ საზღვარგარეთის კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლები: ამხანაგები ცოი ენ გენი — კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ოუმეგიინ ცედენბალი — მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, რომლებსაც დელეგატები და სტუმრები მხურვალედ შეხვდნენ.

შემდეგ სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებისა და სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ ამხანაგები: ვ. ი. ახუნდოვი — აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ს. ი. ვორონცოვი — კოსიორის სახელობის № 1 შახტის კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი (ლუგანსკის პარტორგანიზაცია), ბ. ოვეზოვი — თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

დელეგატები და სტუმრები მხურვალედ შეხვდნენ ნგუენ თხი ბინს — სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის წევრს, როცა იგი ტრიბუნაზე ავიდა. იგი ყრილობის დელეგატებს მოესალმა სამხრეთ ვიეტნამის ხალხის სახელით, რომელიც გმირულად იბრძვის-აშერიკელ აგრესორთა წინააღმდეგ და წაიკითხა სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარის დოქტორ ნგუენ ხიუ თხოს დეპეშა სკკპ XXIII ყრილობისადმი.

ნგუენ თხი ბინმა ყრილობის პრეზიდიუმს გადასცა დრაშა როგორც სამხრეთ ვიეტნამის მებრძოლი ხალხისა და საბჭოთა კავშირის ხალხების სოლიდარობისა და ურღვევი მეგობრობის სიმბოლო.

გმირი ქალაქის მოსკოვის მუშებისა და ყველა მშრომელის სახელით სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის დელეგაციას მისასალმებელი სიტყვით მიმართა ყრილობის დელეგატმა ი. დ. გრეშნევმა — მოსკოვის ალუმინის შენადნობთა ქარხნის მდნობელმა. მან ნგუენ თხი ბინს გადასცა დრაშა, რომელზეც გამოსახულია ვ. ი. ლენინის პორტრეტი.

ნგუენ თხი ბინმა მხურვალე მადლობა გადაუხადა მოსკოველებს მისალმებისა და საჩუქრისათვის და უხურავ მათ ახალი დიდი წარმატებანი.

საღამო სხდომაზე გრძელდებოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებისა და სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენების განხილვა.

სხდომაზე გამოვიდნენ ამხანაგები: მ. ვ. კელდიში — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, რ. ი. მალინოვსკი — სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, ი. ი. ბოდიული — მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

შემდეგ ყრილობას მიესალმნენ საზღვარგარეთის კომუნისტური პარტიების წარმომადგენლები: ამხანაგები ალექსანდრე რანგოვიჩი — იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის აღმასკომის წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ლუის კორვალანი — ჩილის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, რომლებსაც დელეგატები და სტუმრები მხურვალედ შეხვდნენ.

გალსმის პიონერთა საყვირის ხმა. გრიალებს ტაში და დარბაზში შემოდიან ნორჩი პიონერები. დელეგატები და სტუმრები ფეხზე ადგომით ხვდებიან ლენინურ ცვლას. პიონერები მიესალმებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობას.

ყრილობის აღსანიშნავად

კარგი დასაწყისი

შესანიშნავ წარმატებას მიაღწია სკკპ XXIII ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე სამგორის მეფრინველეობის სანაშენო საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა. გადაჭარბებით შესრულდა ხორცისა და კვერცხის დამზადების კვარტალური გეგმა. ხორცი დამზადებულია 566 ცენტნერი, გეგმით გათვალისწინებული 270 ცენტნერის ნაცვლად, კვერცხი — 1.916 ათასი ცალი, 416 ათასით მეტი, ვიდრე დავალებით იყო გათვალისწინებული.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებამ პარტიის XXIII ყრილობისადმი, ყრილობის მასალებმა მეფრინველეთა ახალი შრომითი აქტივობა გამოიწვია. ისინი გაორკეცებული ენერგიით მუშაობენ, რომ შეასრულონ ხუთწლედის პირველი წლისათვის ნაკისრი გაძიდებული ვალდებულებანი. (საქდესი).

უპატაკებენ ქართველი კოოპერატორები

საქართველოს სსრ სამომხმარებლო კოოპერაციამ წარმატებით შეასრულა სკკპ XXIII ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებანი. ვადამდე, ყრილობის გახსნის დღისათვის, გაანაღდა საცალო საქონელბრუნვის, სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების დამზადებისა და მრუწველობის მთლიანი პროდუქციის გამოშვების მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა. (საქდესი).

გეგმის გადამეტებით

ბათუმი. (საკ. კორ.). წინასაყრილობო შრომითს ვახტზე წარმატებით შრომობდნენ ქალაქის საწარმოები. გეგმიმშენებლებმა პირველი კვარტალის დავალება ვადამდე შეასრულეს და წყალში ჩაუშვეს „ვოლგის" ტიპის წყალქვეშაფრთებიანი რამდენიმე ათეული კატერი.

გეგმიმშენებლებმა ყრილობის გახსნის დღისათვის დამატებით რამდენიმე კატერი გამოუშვეს. წარმატებით მიმდინარეობს აგრეთვე საბუქსირე კატარღების დამზადებაც.

ნაყოფიერად შრომობენ მანქანათმშენებლებიც. ამ დღეებში აქ აითვისეს შამპანური ღვინის ბოთლებზე საცობის ავტომატურად მოსარგები მექანიზმი, რომელიც საგრძნობლად ზრდის შრომის ნაყოფიერებას.

პარტიის გეგმები აღგვაფრთოვანებს

საქართველოს მშრომელები ეცნობიან ყრილობის მასალებს და ერთსულოვნად იწონებენ ჩვენი პარტიის პოლიტიკას

ტყიბული. (საკ. კორ.). პარტიის XXIII ყრილობის მუშაობის დაწყებას მიეძღვნა დასავლეთის შახტის მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსების სახელდახელო მიტინგი, რომელზეც მეშახტეებმა გამოთქვეს თავიანთი აღფრთოვანება პარტიის ბრძნული პოლიტიკის გამო.

შახტის უფროსმა გ. რაზმაძემ ილაპარაკა იმ უდიდეს საწარმოო და პოლიტიკურ აღმავლობაზე, რაც ტყიბულელი მეშახტეები, მთელი რესპუბლიკის მშრომელები შეხვდნენ პარტიის XXIII ყრილობას. დასავლეთის შახტის მოწინავე კოლექტივმა, რომელიც წინასაყრილობო შრომით ვახტზე იდგა, დიდი გადაჭარბებით შეასრულა სოციალისტური შეჯიბრება ნაკისრი ვალდებულებანი. აქ ვადამდე — 26 მარტს უპატაკეს საკავშირო ქანახშირის მოპოვებაში პირველი კვარტალის სახელმწიფო დავალების შესრულება. ყრილობის მუშაობის დღეებში მეშახტეები კიდევ უფრო აძლიერებენ შრომის ტემპს.

— მეშახტეები უდიდეს სიხარულს გამოთქვამენ იმის გამო, რომ ჩვენი ბრიგადის წევრი, კომუნისტი მ. ლანჩავა უშუალოდ მონაწილეობს ყრილობის მუშაობაში, — განაცხადა ნოვატორმა მეშახტემ გ. გოგიაშვილმა. ჩვენ არ შევარცხვენთ მეშახტეთა წარგზავნილს, ახალ შრომითი წარმატებებით აღვნიშნავთ ყრილობის მუშაობის დღეებს.

მიტინგზე პატრიოტული სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე მეოთხე საექსკავატაციო უბნის უფროსი ივ. ორჯონიკიძე, სახშატო კომიტეტის თავმჯდომარე ი. გოგია და სხვ.

ყველა მათგანის გამოსვლა მოწმობდა საბჭოთა ხალხის მონოლითურ დარაზმულობას მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო.

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის — თბილისის ლენინის რაიონის მშრომელები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, უდიდესი ინტერესით ადევნებენ თვალყურს სკკპ XXIII ყრილობის მუშაობას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში ხაზი აქვს გასმული კომუნისტურ მშენებლობაში პარტიის ხელმძღვანელი როლის გაძლიერების საკითხებს.

პარტიის მთელი ცხოვრება ასახვას პოულობს პირველადი პარტიული ორგანიზაციების მრავალფეროვან მოღვაწეობაში. ამიტომ ყველა პარტიული ორგანოს მოვალეობაა დაუცხრომლად ზრუნავდნენ პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის შემდგომი განმტკიცებისათვის. პირველადი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობა მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ კომუნისტები და უპარტიოები აღზარდონ მაღალი იდეურობის, თავიანთი მოვალეობისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებისა და სკკპ პოლიტიკის ღრმა გაგების სულისკვეთებით.

პარტიული ორგანიზაციების წინაშე წინსვლის ახალი ნათელი პერსპექტივები ისახება. ლენინის რაიონის მშრომელები, რომლებმაც წარმატებით შეასრულეს სკკპ XXIII ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი, ახალი ძალით და ენერგიით იბრძვიან ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანების განხორციელებისათვის.

ათასობით კომუნისტი მაგალითს იძლევა სამშობლოს საკეთილდღეო შრომაში. ისინი პირობას იძლევიან, რომ შემდგომშიც თავდადებით იბრძოლებენ საუკეთესო საბჭოთა სამშობლოს სადიდებლად, ხალხთა ბედნიერებისათვის.

დ. აბუთიძე.

საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის პირველი მდივანი.

მეშახტეთა ერთსულოვნება

მხურვალე მოწონება

შრომით ვუპასუხებთ

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავლთამშენებლო ქარხნის კოლექტივი გულისყურით ადევნებს თვალს სკკპ XXIII ყრილობის მუშაობას. ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებიდან ერთხელ კიდევ მკაფიოდ ჩანს ჩვენი ლენინური პარტიის მონოლითური დარაზმულობა მისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო დიდი ბელადის იდეების განხორციელებისათვის ბრძოლაში.

პარტიის ბრუნვა ხალხის ინტერესებისათვის განუზომელია.

ახლა მთავარია უფრო გონივრული შრომა, წარმოების ღრმა ეკონომიური ანალიზით წარმართვა.

საწარმოებში სულ უფრო ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება რიტმული მუშაობისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის.

ჩვენი ქარხნის მუშებისა და ინჟინრების სახელით პირობას ვიძლევით, რომ ძალას და ცოდნას არ დავიშურებთ საწარმოო გეგმების წარმატებით განხორციელებისათვის.

ვ. პაპინაშვილი, გ. ჩადუნელი, შ. დევსურაშვილი, მ. ხატიაშვილი — კომუნისტური შრომის ბრიგადების ხელმძღვანელები.

კოლმეურნეთა გადაწყვეტილება

ნატანები. კოლმეურნეები დიდი ყურადღებით ადევნებენ თვალყურს მშობლიური კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის მუშაობას. ინტერესით გაეცანით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებას. მოხსენებაში მკაფიოდ და გასაგებად არის ჩამოყალიბებული ცენტრალური კომიტეტის მიერ გაწეული მუშაობა საანგარიშო პერიოდში, დასახულია ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის, ეკონომიკის, კულტურის შემდგომი გაძლიერების რეალური გზები.

ჩვენი კოლმეურნეობა ძირითადად მეჩაიეობით და მეციტრუსეობით არის ცნობილი. ჩემი წინადადებაა მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების წარმოებაში ფართოდ დანერგვის ყველგან კიდევ უფრო მეტი ყურადღება მიექცეს, რათა ყოველ ჰექტარზე მივიღოთ მაღალი მოსავალი, გამრავლოთ ხვავი და ბარეული.

ნატანელი კოლმეურნეები ხუთწლედის პირველი წლის დასაფიქრელ. სავსებით მომზადებული შეხვდნენ და ეფექტურად შრომობენ იმისათვის, რომ სპასტიო წელი მეტანონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვის შექმნის საქმეში.

დ. ტაკიძე,

მახარაძის რაიონის ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი.

ხალხის საკეთილდღეოდ

ეს ამაღელვებელი დღეები დაუვიწყარი იქნება ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებისათვის. ბევრი აღმაფრთოვანებელი გრძნობა გამოიწვია ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის საანგარიშო მოხსენებამ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობაზე. ჩვენს წინაშე მთელი სიცხადით წარმოისახა ის დიდი მიღწევები, რომლებიც საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოიპოვა.

ჩვენი ფაბრიკის კოლექტივი ყველაფერს გაკეთებს იმისათვის, რომ ღირსეულად უპასუხოს კომუნისტური პარტიის „სოდენ დიდ მზრუნველობასა და ყურადღებას.

გ. თუთიანიძე,

თბილისის მეექვსე სამკერვალო ფაბრიკის გამომჭრელი, ეროვნის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს დეპუტატი.

რესპუბლიკის მშრომელები გულდასმით ეცნობიან მშობლიური კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის მასალებს. სურათზე: ამ დღეებში „სოიუზპეჩატის" კიოსკთან თბილისში, მელიქიშვილის ქუჩაზე.

ფოტო ს. კილაძისა და გ. გოგოხიასი.

ვალდებულება შესრულებულია

პარტიის XXIII ყრილობის მუშაობის დღეებში ახალ წარმატებებს აღწევენ სოფლის მშრომელები. ამ წარმატებათა შესახებ გვატყობინებენ რაიონებიდან. ზემოელყარიელებმა დიდი წარმატება უპატაკეს კვარტალის დავალების 106 პროცენტს შეადგენს. სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის დავალება შესრულებულია 166 პროცენტით, კვერცხისა — 144 პროცენტით.

ამ საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს ზემო მაჩხაანის, ოზაანის, გამარჯვების, ჯაფარიძის, ქვემო ქედის, საბათლოს კოლმეურნეობებმა. მათ დიდი გადაჭარბებით შეასრულეს მეცხოველეობის ყველა სახის პროდუქტების დამზადების გეგმები. ამასთან ერთად ზემოელყარიელმა მექანიზატორებმა სასახელოდ გაანაღდეს ნაკისრი ვალდებულება: შეკეთებულია 282 ტრაქტორი ნაცვლად 271-ისა, 104 კომბაინი ნაცვლად 95-ისა, 315 გუთანი ნაცვლად 300-ისა. მზად არის 108 სათესი მანქანა ნაცვლად 97-ისა. შესრულებულია ყველა მარკის სათიბი, ცილოსნის და სიმინდის ასაღები კომბაინების რემონტის გეგმები.

ბათუმის რაიონის მშრომელებმა ყრილობის გახსნის დღისათვის შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება. სახელმწიფოს მიჰყიდეს 883 ცენტნერი ხორცი, ანუ პირველი კვარტალის გეგმა შესრულდა 126 პროცენტით. რძის მიყიდვის დავალება შესრულებულია 121 პროცენტით, კვერცხისა — 102 პროცენტით.

ფალენჯიხელებმა ყრილობის გახსნამდე ორი დღით ადრე შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმა. სახელმწიფოს მიეყიდა 930 ცენტნერი ხორცი, ნაცვლად 770 ცენტნერისა. რძის მიყიდვის დავალება შესრულებულია 100 პროცენტით, კვერცხისა — 173,7 პროცენტით.

შუახევის რაიონის მშრომელებმა წარმატებით შეასრულეს პარტიის XXIII ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებანი. სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის ნახევარი წლის დავალება შესრულებულია 100,2 პროცენტით, კვერცხისა — 112 პროცენტით. გასულ წელთან შედარებით სახელმწიფოს მიეყიდა 430 ცენტნერით მეტი ხორცი.

რაიონში წარმატებით მიმდინარეობს საგაზაფხულო სამუშაოები. ყრილობის მუშაობის დღეებში გადაჭარბებით შესრულდა ხვნილის ბაღების გაშენების გეგმა. გაშენებულია 42 ჰექტარი ნაცვლად 23 ჰექტარისა. ყოველდღიურად მატულობს საგაზაფხულო სამუშაოთა ტემპი.

დიდი დოკუმენტი

ამ დღეებში ჟეშმარიტად უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტს გავეცანით. ეს არის სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება პარტიის XXIII ყრილობაზე.

ეს არის დიდი პროგრამა, რომელიც საბჭოთა სახელმწიფოსა და საბჭოთა საზოგადოებრიობის შემდგომი განვითარების ნათელ გზებს სახავს.

ეს არის კაცობრიობის კეთილი მომავლისათვის დამშვიდებული ყოველი ადამიანის მოქმედების პროგრამა.

უჩა ჯაფარიძე.

სსრ კავშირის სახალხო მხატვარი, თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი.

შესანიშნავია, კარგია!

მთლიანად ვიწონებთ მშობლიური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ლენინური კურსით წინსვლას. პარტიის XXIII ყრილობაზე ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში მკაფიოდ არის ასახული ჩვენი ქვეყნის ნათელი მომავალი, წინსვლის უდიდესი პერსპექტივები. შარშან ჩაის ფოთლის წარმოების გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს. წელს უფრო მეტ მწვანე ოქროს მივცემ სამშობლოს.

ახალ ხუთწლედში დასახულია კოლხეთის ჭაობების დაშრობა და იქ სუბტროპიკული კულტურების გაშენება. ეს კიდევ ერთი დადასტურებაა ჩვენი კომუნისტური პარტიის შეუნელებელი ზრუნვისა ხალხის კეთილდღეობისათვის. ჩემი წინადადებაა — იმისათვის, რომ მოკლე დროში ჩადგეს ხალხის სამსახურში ახალი მიწები, კოლხიდის დაშრობის სამუშაოები ჯამოცხადდეს სახალხო სამუშაოდ, მასში აქტიური მონაწილეობა მიიღონ ახალგაზრდებმა.

ტ. ხარჩილავა.

ცხაკაიას რაიონის უშაფთის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს სსრ რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების" 39, 40, 41 მუხლების საფუძველზე დამტკიცდეს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს სსრ რესპუბლიკური საარჩევნო კომისია და მშრომელთა საზოგადოებების შემდეგი წარმომადგენლების შემადგენლობით:

რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **კიკნაძე შალვა დავითის-ძე** — საქართველოს სსრ პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოსაგან.

რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **სარალიძე ბურაბ გიორგის-ძე** — თბილისის კროლის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის მდივანი — **გოგიჩაიშვილი მიხეილ ალექსანდრეს-ძე** — საქართველოს კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის წევრები:

ლოლაშვილი ოთარ ილიას-ძე — თბილისის საქალაქო კომუნისტური ორგანიზაციისაგან;

ბაბეშვილი სოლიკო ეკატერინეს-ძე — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირისაგან;

ლომიძე ავთანდილ გიორგის-ძე — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინი სამაქროს მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

მუსერიძე ომერ დავითის-ძე — არმიის, ავიაციის და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების თბილისის საქალაქო კომიტეტისაგან;

ბადრიკოვი ნიკოლოზ მარტინის-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა პროფესიული კავშირისაგან;

გზირიშვილი რუსუდან დავითის ასული — გურჯაანის რაიონის სოფ. შროშის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან;

ბიბილოვა გესია სარდიონის ასული — ცხინვალის „ელექტროფიდის" ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

ფაჩუაშვილი მერი ნიკოლოზის ასული — ქუთაისის მე-9 საშუალო სკოლის კოლექტივისაგან;

ამირგულოვი ვართან გარეგინის-ძე — თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

აბესლამიძე თამარ აბდულის ასული — ბათუმის რაიონის სოფელ წინსელის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან;

უსლიევი მახმუდ უსლის-ძე — სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფესიული კავშირის მარნეულის რაიონული ორგანიზაციისაგან;

ზაიკინი ივანე ვლადიმერის-ძე — ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოსაგან;

გვახალია ოფელია დავითის ასული — ცხაკაიას რაიონის სოფელ ხორშის კოლმეურნეობა „გამარჯვების" კოლმეურნეებისაგან.

წვიტა ზაირა გიორგის ასული — აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკური საავადმყოფოს თანამშრომლებისაგან;

ჭორბენაძე ხერგო მონასის-ძე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისაგან;

შენგელაია არიადნა ვსევოლოდის ასული — გრიბოედოვის სახელობის დრამატული თეატრის კოლექტივისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1966 წლის 1 აპრილი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობა

31 მარტის საღამოს სხდომა

მოსკოვი, 1 აპრილი. (საკუთარი). გუშინდელ საღამოს სხდომას თავმჯდომარეობდა **გ. ი. ვორონოვი.**

სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრს **ვ. ვ. მატუზოვს.**

— ჩვენი ხუთწლედის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, — ამბობს იგი, — სოფლის მეურნეობის განვითარება. იმაზე, თუ რამდენად სწრაფად დაკმაყოფილდა ეს ხელს შეუწყობს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ჰარმონიულ განვითარებას, სოფლისა და ქალაქის მშრომელთა ცხოვრების დონის დაახლოებას.

— დიდი კმაყოფილებით მინდა აღვნიშნო, — განაცხადა ყირილობაზე თავის სიტყვაში პარტიის ბაშკირეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ზ. ნ. ნურიევმა,** — რომ საანგარიშო პერიოდში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი წარმატებით წყვეტდნენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის ისტორიულ ამოცანებს.

ჩვენი დელეგაცია მხარს უჭერს წინადადებებს პარტიის წესდებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ. ნაცვლად ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმისა მოლიტბიუროს შექმნა უფრო სრულად ასახავს პარტიის ამ ხელმძღვანელი ორგანოს ხასიათს. ჩვენი დელეგაცია აგრეთვე ერთსულოვნად უჭერს მხარს წინადადებას, რომ კვლავ აღდგეს ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანამდებობა.

ზ. ნ. ნურიევმა დაწვრილებით ილაპარაკა იმის შესახებ, თუ როგორ შეასრულა ბაშკირეთმა სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმა. სამრეწველო წარმოების მოცულობა 122 პროცენტით გაიზარდა. განსაკუთრებით სწრაფად ვითარდებოდა ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა. რომელმაც რამდენჯერმე გაადიდა პროდუქციის გამოშვება. რესპუბლიკა ახლა გახდა საბჭოთა კავშირის არა მარტო ნავთობის, არამედ აგრეთვე ქიმიური ინდუსტრიის ერთ-ერთი ძირითადი ცენტრი. მნიშვნელოვნად განვითარდა სოფლის მეურნეობა.

ამ ფაქტებთან, ხაზგასმით აღნიშნავს ორატორი, მკაფიო გამოხატულებას პოულობს ჩვენი პარტიის ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკა.

ამხ. ნურიევი შემდეგ ეხება სიძნელეებსა და რესპუბლიკაში არსებულ გადაუჭრელ საკითხებს. მრეწველობის მუშაობაში მნიშვნელოვანი ხარვეზია ახალ სიმძლავრეთა ნელა ათვისება, წარმოების ინტენსივობის გადიდებისა და მისი ეკონომიური მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის ახალი ტექნიკის პოტენციურ შესაძლებლობათა ნაკლოვანებანია კაპიტალურ მშენებლობაში. ვერ დაიკერდებიან სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის ტემპებსაც. ჯერ კიდევ ბევრი შეცდომა ვიპრობს, მოსახლეობის სამედიცინო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციაში. საოლქო პარტიული ორგანიზაცია ყოველ ღონეს იხმარს ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ახალ ხუთწლედში სამრეწველო წარმოების მოცულობა ბაშკირეთში დაახლოებით 60-70 პროცენტით გაიზრდება. სოფლის მეურნეობაში მთავარ ყურადღებას დაეთმობთ მარცვლის წარმოების გადიდებას.

დელეგატმა წინადადება წამოაყენა უფრო გონივრულად განიხილონ ნედლეულის რესურსები. მან აღნიშნა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ნახშირწყალბადის წარმოებას, რომელიც ქიმიური მრეწველობის ნედლეულია. ჩვენი აზრით, უნდა დაეგალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საეგმო კომიტეტს შესაბამის სამინისტროებთან ერთად შეიმუშაოს ნახშირწყალბადის ნედლეულის წარმოების განვითარების პერსპექტიული გეგმა. მეტად დიდმნიშვნელოვანია აგრეთვე ის პრობლემა, რომ სწორად გამოვიყენოთ ბაშკირეთის რკინის მადნები წმინდა ლითონის წარმოებისათვის.

— რესპუბლიკის კომუნისტებისა და ყველა მშრომელთა სახელით, — ამბობს ამხ. ნურიევი, — ჩვენი დელეგაცია აღიარებს პარტიის XXIII ყრილობას, რომ ბაშკირეთის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა არა თუ მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შესრულდება.

კოვეის ოლქის მირონოვკის რაიონის ენანოვის სახლობის კოლმეურნეობის ბაგალითი მისმა თავმჯდომარემ **ა. ბ. ბუზნიკიმ** ყირილობაზე ცხადყო, თუ როგორ ხორცესდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობის პროგრამა, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმმა დასახა. მატერიალური დაინტერესების გადიდებამ, კოლმეურნეობებისათვის ფართო ინიციატივის მინიჭებამ დაგეგმვამ, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გაუმჯობესებამ — ყოველივე ამან, ხაზი გაუსვა ორატორმა, დიდი აღმავლობა გამოიწვია სოფლის მეურნეობის მუშაკთა შორის. კოლმეურნეები უკეთ შრომობენ, უფრო რაციონალურად იყენებენ მოსავლიანობის, მეცხოველეობის პროდუქტიულობისა და მეურნეობის რენტაბელობის გადიდების რეზერვებს.

ჩვენს კოლმეურნეობაში, ამბობს ორატორი, მარცვლეული კულტურების მოსავალმა საშუალოდ ჰექტარზე 37,3 ცენტნერი შეადგინა, სამეთოდგომო ხორბლის მოსავალმა — 44,4 ცენტნერი 843 ჰექტარი ფართობის თითეულ ჰექტარზე. ბაკრის ბარხლის მოსავლიანობა 1965 წელს იყო 402 ცენტნერი ჰექტარზე. ყოველ 100 ჰექტარ სავარგულებზე წარმოებულია 600 ცენტნერი რძე.

მარტის პლენუმის შემდეგ ჩვენ ვიღებთ ძეტ სხვადასხვა მანქანას. მაგრამ ზოგიერთი მათგანის ხარისხი და წარმადობა ჯერ კიდევ დაბალია. ეს უწინარეს ყოვლისა შეეხება ბარხლის ასაღებ და კარტოფილის ასაღებ კომბაინებს. მრეწველობა ცოტას უშვებს მანქანებს ხიადაგში სასუქების შეტანისა და მეცხოველეობის შრომატევადი პროცესების კომპლექსური მექანიზაციისათვის. ორატორმა აგრეთვე აღნიშნა, რომ საკმარისი არ არის მრეწველობის მიერ გამოშვებული სასუქების ეფექტიანობა.

მხვნელ-მთესველთა ახალგაზრდა თაობის აღზრდა საარსებო ამოცანაა. ახალგაზრდა კოლმეურნე დარწმუნებული უნდა იყოს, რომ დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს მისი მშობლების, უფროსი დებისა და ძმების შრომას. მაგალითად, როცა ახალგაზრდა მწველავი ხედავს, თუ რა პატივით აკილდებენ დედამისს პენსიაზე, იგი გრძნობს, რამდენი სიკეთე მოაქვს ხალხისათვის კოლმეურნის შრომას.

ყირილობაზე გამოსასვლელად რომ ვემზადებოდი, განაგრძო ამხ. ბუზნიკიმ, წამოვეკარა მთელი რიგი წინადადებანი კოლმეურნეთა პენსიით უზრუნველყოფის თაობაზე. მაგრამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებიდან შევიტყე, რომ ყველა ეს ჩემი წინადადება დადებითად გადაიჭრა.

კოლმეურნეები დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ, ამბობს ორატორი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას სასოფლო-სამეურნეო არტელის ახალი წესდების პროექტის შემუშავებელი კომისიის შექმნისა და მომდინარე წლის დამლევს კოლმეურნეთა III სრულიად საკავშირო ყრილობის მოწვევის შესახებ, რომელმაც უნდა დაანტკიცოს ეს დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი. საკოლმეურნეო — კოოპერაციული ორგანოები, ამხ. ბუზნიკის აზრით, ხელს შეუწყობენ საკოლმეურნეო დემოკრატიის შემდგომ განმტკიცებას, საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოო ურთიერთობის გაფართოებას, სოფლის მეურნეობის ყველა დარგის განვითარებას.

იტალიელ კომუნისტთა, მუშათა, გლეხთა, იტალიის დემოკრატთა სახელით სკკპ XXIII ყრილობას მხურვალე ძმური სალამი გადასცა იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა **ლუიჯი ლონგომ,** რომელსაც დელეგატები გულთბილად შეხვდნენ. მშრომელები დიდი ინტერესით აღევლებენ თვალს თქვენი ყრილობის მუშაობას, ამბობს ორატორი. მათ იციან, რომ ყრილობის გადაწყვეტილებანი დიდ წვლილს შეიტანენ მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და სოციალიზმის შემდგომი განვითარებისათვის ბრძოლაში.

იტალიაში ჩვენ ვიბრძვით ყველა იმათი გაერთიანებისათვის, ვინც მოითხოვს ვიეტნამში ომის შეწყვეტას და მშვიდობის დაცვას, ვინც იბრძვის მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპზე დაფუძნებული ახალი საერთაშორისო ურთიერთობის დამკვიდრებისათვის, ხალხთა განთავისუფლებისათვის ომის, შიმშილისა და იმპერიალიზმისაგან. ჩვენ ვიბრძვით იმისათვის, რომ იტალიამ თავი დაიღწიოს ამერიკის შეერთებულ შტატებზე დამოკიდებულებას, წინააღმდეგი დასავლეთ გერმანიის ატომურ შეიარაღებას, მოითხოვოს შეიარაღების შემცირება ევროპაში, ამყამად ჯისებული სამხედრო კავშირების გაუქმება და კოლეკტიური უშიშროების ხელშეკრულების დადება.

ამ მიზნებისათვის ბრძოლას არ შეიძლება საერთაშორისოდ მასშტაბი არ მივეცეს. ევროპის მუშათა მოძრაობამ, დემოკრატიულმა ძალებმა ერთმანეთის დამოუკიდებლობის პატივისცემასთან ერთად უნდა მიაღწიონ თავიანთი მოქმედებისა და ბრძოლის კოორდინაციას. ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ ისე, რომ ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების, ევროპის მომავლის ყველა პრობლემაზე მჯელ დემოკრატიულ და პროგრესულ ძალებს შორის თანამშრომლობა და ურთიერთგაგება ვითარდებოდეს.

ევროპის ქვეყნების ქმედითი თანამშრომლობის პოლიტიკა, რა თქმა უნდა, არ შეიძლება განხორციელდეს, თუ მასში სოციალისტური ქვეყნები არ მიიღებენ მონაწილეობას. ეს ქვეყნები შევდნენ განვითარების ახალ, უფრო სრულყოფილ, უფრო მაღალ ფაზაში. აი რატომ არის, რომ უდიდესი ინტერესით მოვისმინეთ ამხანაგ ბრეჟნევის მოხსენება, რომელმაც დაახასიათა საბჭოთა კავშირის გეზი და მიზნები მომავალი ხუთწლეულისათვის.

მოხსენებიდან ჩანს, რომ, მიუხედავად თქვენს მიერვე მხილებული სიძნელეებისა და ნაკლოვანებებისა, საბჭოთა ეკონომიკა მთელი ამ წლების განმავლობაში მაღალი ტემპებით ვითარდებოდა და გაფართოვა მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებთან თავისი შეჯიბრების შესაძლებლობანი. ახალი ხუთწლიანი გეგმა სახავს ეკონომიური მართვის ახალ, უფრო გაბედულ ამოცანებს და უფრო სრულყოფილ მეთოდებს, რომლებსაც საფუძვლად უდევს საწარმოთა დამოუკიდებლობისა და პირადი ინიციატივის გაფართოება. ყოველივე ამას, ჩვენი აზრით, შეუძლია ახალი ძალა შესძინოს სოციალიზმის იდეებს.

იტალიაშიც ობიექტურად და სულ უფრო მეტი დაბეჯითებით დგება სოციალისტური გარდაქმნების საჭიროება, განაგრძო ამხ. ლონგომ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყოველი პარტიის წინაშე დგას ამოცანა სკკპ XX ყრილობის სულისკვეთებით გამომუშაოს სოციალიზმის მიღწევის თავისი გეზი. ამხანაგ პოლიატის ხელმძღვანელობით იტალიის კომუნისტურმა პარტიამ შეიმუშავა პოლიტიკა, რომელიც იტალიისათვის დამახასიათებელ პირობებში საშუალებას აძლევს განაზოგიერეოს კავშირი მუშათა კლასსა, გლეხობას და საშუალო ფენებს შორის და, მაშასადამე, ხალხის მნიშვნელოვანი უმრავლესობა გადმოიყვანოს სოციალიზმის მხარეზე ყველა დარგში დემოკრატიის განუხრელი გაფართოებისა და განუწყვეტელი გამდიდრებისათვის ბრძოლის საფუძველზე.

ჩვენი პარტიის მიერ მიღწეული ძალა, გავლენა, რომელიც ფართო მასების შორის არის მოპოვებული, მოწმობს, რომ ჩვენ სწორი გზით მივდიგართ, თქვა დასასრულ იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა. ვიცით, რომ ჯერ კიდევ მოგვიკლია მკაცრი და ძნელი ბრძოლა. მაგრამ მთელი თქვენი ისტორია, თქვენი ბრძოლა, თქვენი წარმატებანი, სიმტკიცე, რომლითაც თქვენ ყრილობა განიხილავს ახალ ამოცანებს, ძალებსა და ენერგიას გვმატებს მთელ ჩვენს საქმიანობაში.

— სკკპ XXIII ყრილობა, — თქვა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ტოდორ ჟივკოვმა,** — უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა მთელი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობისათვის, ხალხთა საყოველთაო ბრძოლის საქმეში მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის.

ბულგარელ კომუნისტებს გულწრფელად ახარებთ დიდი წარმატებანი, რომლებიც საბჭოთა ხალხმა მოიპოვა ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, კოსმოსისა და ატომური ენერგიის დაუფლებაში. ამ წარმატებებით საბჭოთა ხალხმა ყველაზე მეტი გააკეთა მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობის სამეურნეო და სამხედრო ძლიერების განმტკიცებისათვის, მთელი მსოფლიოს რევოლუციური პროცესის განვითარებისათვის.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა, განაცხადა ორატორმა, უკვე 22 წელია მიდის ოქტომბრის რევოლუციის მიერ გაკვალული სახელოვანი გზით. ვამაყობთ, რომ ჩვენს სამშობლოს გამოცდილებაც აშკარად მოწმობს, თუ რა ფასდაუდებელი უპირატესობანი აქვს სოციალისტურ საზოგადოებრივ წყობილებას კაპიტალიზმთან შედარებით. წარმატებებში, რომლებიც ბულგარეთმა მოიპოვა სოციალისტურ მშენებლობაში, დიდ როლს ასრულებს ძმური თანამშრომლობა საბჭოთა კავშირთან. ჩვენი ქვეყნების ურთიერთობას საფუძვლად უდევს მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპები, თანასწორუფლებიანობის, გულწრფელი მეგობრობისა და ურთიერთდახმარების პრინციპები.

ბულგარეთის კომუნისტური პარტია, თქვა ამხ. ჟივკოვმა, საგანგებით იზიარებს შეფასებას, რომელიც სკკპ XXIII ყრილობამ მისცა საერთაშორისო მდგომარეობის განვითარებას. უკანასკნელი წლების მანძილზე მსოფლიოში მომხდარი ცვლილებანი აღასტურებენ ჩვენს საერთო დასკვნას, რომელიც მოსკოვის 1957 და 1960 წლების თათბირებზე გამოვიტანეთ: ანტიიმპერიალისტური ძალები საკმაოდ ძლიერია. მათ შეუძლიათ ერთობლივ, რამელმაც უნდა დაანტკიცოს ეს დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი. საკოლმეურნეო — კოოპერაციული ორგანოები, ამხ. ბუზნიკის აზრით, ხელს შეუწყობენ საკოლმეურნეო დემოკრატიის შემდგომ განმტკიცებას, საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოო ურთიერთობის გაფართოებას, სოფლის მეურნეობის ყველა დარგის განვითარებას.

— ... ეროვნული ... ...

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობა

(დასასრული)

ალბთან, კვლავაც ყოველმხრივ დაეხმარებიან მას ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიის წინააღმდეგ.

თანამედროვე პირობებში სულ უფრო გადაუდებელი ამოცანა ხდება მსოფლიო პროფკავშირული მოძრაობის მოქმედებას ერთიანობის განმტკიცება. გათიშვა, რომელიც მას რიგებშია, დიდ ზიანს აყენებს მუშათა კლასის ინტერესებს. შემთხვევით როდია, რომ მონოპოლიები და მათი აგენტურა, ყოველნაირად ცდილობენ შეინარჩუნონ და გააღრმაონ ეს გათიშულობა. საბჭოთა პროფკავშირები კვლავაც თანმიმდევრულად იბრძოლებენ მსოფლიო პროფკავშირული მოძრაობის ერთიანობის განმტკიცებისათვის კლასობრივ ანტიიმპერიალისტურ საფუძველზე. საბჭოთა მშრომელების, ჩვენი ქვეყნის პროფესიული კავშირების სახით, რომლებსაც მაღალი უპირავთ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშა, მთელი მსოფლიოს მშრომელ ადამიანებს, თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხებს ჰყავთ და მუდამ ეყოლებათ ერთგული და საიმედო მეგობრები.

ტრიბუნაზეა ივანოვოს სართავ-საქსოვი ფაბრიკის მქსოველი **ზ. ა. პუხოვა.**

— ჩვენ ყველანი ახლა კარგი განწყობილებით ვმუშაობთ, — ამბობს იგი. — გვიდა კიდევ უკეთ ვიმუშაოთ, უფრო მეტი გავაკეთოთ საყვარელი სოციალისტური სამშობლოს აყვავებისათვის. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამ გრძნობას მილიონობით ადამიანი იზიარებს. გამოვხატავ რა ივანოვოს ოლქის ყველა ქალის, ყველა მშრომელის აზრს, უგულითადეს მადლობას ვუძღვნი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას მარტის დღესასწაულისათვის, რომელიც არაჩვეულებრივ დღედ გამოცხადდა. კარგად გვესმის, რომ ჩვენი შრომა ხმარდება მთელი ხალხის კეთილდღეობას, ვხედავთ, თუ როგორ იზრდება, ვითარდება და მშვენიერდება ჩვენი ქალაქი ივანოვო — საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უძველესი საფეიქრო ცენტრი, სადაც 60 წლის წინათ შეიქმნა რუსეთში პირველი მუშათა დეპუტატების საბჭო. ახლა ჩემი მხარე ფართოდ არის ცნობილი არა მარტო თავისი ქსოვილებით, არამედ ავტომობილ-ამწეებით, სხვადასხვაგვარი ხელსაწყოებით, ექსკავატორებით, საფეიქრო და სხვა მანქანებით.

ჩვენში აღიზარდნენ თავიანთი საქმის მოსანდნავი ოსტატები, დიდ თაოსნობათა ინიციატორები. სოციალისტური შრომის გმირების მარიამ კულეკოვას, ოლგა ვეჩერკოვას სახელები ფართოდ არის ცნობილი საბჭოთა კავშირში. ბევრმა ფეიქარმა გაიზიარა ანტონინა კოსტიკოვას და ვალენტინა სმირნოვას მოწინააღ გამოცდილება.

ყრილობის დირექტივების პროექტში ხუთწლიანი გეგმის შესახებ დიდი ყურადღება ეთმობა მრეწველობის იმ დარგების განვითარებას, რომლებიც სახალხო მოხმარების საქონლის აწარმოებენ. ეს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას გვაკისრებს ჩვენ, ფეიქრებს. როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, მშობლიური კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის შრომათს საჭურარს რომ ვუმზადებდი, ვალდებულება ვიკისრე ხუთწლიანის პირველი წლის დამდეგისათვის თვითეული დაზგის წარმადობა გამეზიდებინა 19.600 მისაქსელამდე საათში. დღეს მოხარული ვარ ვაცნობო ყრილობის დელეგატებს, რომ ჩემი ვალდებულებანი გადაჭარბებით შევასრულე.

ახლა ივანოვოს ოლქის ფეიქრები ახალ ტექნიკის ვადამდე ათვისებისათვის ეჯიბრებიან ერთმანეთს. სპეციალისტებმა გამოიანგარიშეს: თუ ოლქის ყველა საფეიქრო ფაბრიკაში ახალი მოწყობილობის წარმადობას პროექტით გათვალისწინებულ სამძლავრემდე გავადიდებთ, ჩვენი ქვეყანა დამატებით მიიღებს 47 მილიონ მეტრ ქსოვილს წელიწადში. როგორც, ხედავთ, ამისათვის ღირს იმუშაო, ამისათვის ღირს იბრძოლო! ფართოდ უნდა გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება მთელ ჩვენს ქვეყანაში ახალი მოწყობილობის საპროექტო სიმძლავრის ვადამდე ათვისებისათვის.

ჩვენთან, აღნიშნავს ორატორი, ძველ მოწყობილობას ცვლიან. მაგრამ ეს მუშაობა, სამწუხაროდ, ჯერ ნელა მიმდინარეობს. ჯერ კიდევ დარჩა ბევრი სალაზარი დაზგა, რომლებიც დიდი ხანია ძველდა: დიდი წარმადობა არა აქვს არც ზოგიერთ ახალ საქსოვ ავტომატს.

ჩვენს ბამბეულის კომბინატებს ძნიშნელოვანი ზარალი აქვთ იმის გამო, რომ დაბალი ხარისხის დანაგვიანებულ ბამბას იღებენ. ფეიქრებს იმედი აქვთ, რომ მანქანათმშენებლები და ისინი, ვინც უნდა სრულყოფდეს ბამბის ხარისხის გაუმჯობესების ტექნოლოგიურ პროცესებს, ყურად იღებენ ჩვენს თხოვნას.

როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაშია ნათქვამი, თანადროულნენელია მუშებისა და მოსამსახურეების თანდათანობით გადაყვანა ხუთდღიან სამუშაო კვირაზე ორი დასვენების დღით. ეს სწორია, თქვა ამ. პუხოკამ. ჩვენს ოლქში ასეთ გრაფიკზე გადავდა ორმოცდაექვსი საწარმო, სადაც 200 ათასამდე კაცი მუშაობს, და მათი ამოცდილება ცხადყოფს, რომ ამ გრაფიკში კარგად არის შეხამებული წარმოებისა და მშრომელთა ინტერესები.

ყრილობამ დიდი ინტერესით მოისმინა ჩვენი შესანიშნავი მწერლის **მ. ა. შოლოხოვის** სიტყვა.

— მე აქ გამოვდიარ როგორც საბჭოთა ლიტერატურის წარმომადგენელი და სინანულით უნდა ვთქვა, რომ ჩვენნი, ლიტერატორების, წარმატება არც ისე დიდია, როგორც ეს თქვენ, მკითხველებს, და ჩვენ, მწერლებს გვინდა. მართალია ამ ბოლო წლებში კარგი წიგნები გამოსულა პოეზიაშიც და პროზაშიც, მაგრამ ასეთი წიგნები ცოტაა. ამას მოწმობს ფაქტიც, რომ ლენინურ პრემიაზე წარდგენილ ნაწარმოებთა სია, რომელსაც ახლა განიხილავენ, აშკარად ცარიელია, ეს უძრაობა როდია. მწერლები მუშაობენ, მაგრამ მნიშვნელოვანი ნაწარმოებები ყოველ წელს არ იბეჭდება. ალბათ ლიტერატორებიც იქნებოდა მოლოდინი, რომ ასეთი ნაწარმოებები ხშირად ჩქნებოდეს.

არ მინდა შეგაწუხოთ ლიტერატურული საქმეების დაწვრილებითი ანალიზით, თან ეს ერთ კაცს არც ძალუძს, ამის შესახებ ფართო მსჯელობა იქნება მწერალთა ყრილობაზე, რომელიც მიმდინარეობ წელს გაიმართება.

ყოველი უწინაზრახვო ადამიანისათვის ცხადია, განაგრძობს მ. ა. შოლოხოვი, რომ მსოფლიოში ახლა მიმდინარეობს ბრძოლები, რომლებიც შესაძლებლობას ორ ძალვენ პატიოსან მწერალსა თუ ხელოვანს გულწრფელი მეთვალყურის პოზიციებზე იდგეს. თითქოს ეს ნათელი ჭეშმარიტებაა, მაგრამ ზოგჯერ გვიხდება ამისი გახსენება.

თანამედროვე კაცობრიობა ისეთი ამბების მოწმეა, რომელთა მიმდინარეობას არაფრით არ შეიძლება მშვიდი ეწოდოს. გრძელდება ამერიკის აგრესია ვიეტნამში, ცდიან უზარმაზარი ძალის დამანგრეველ საშუალებებს. დასავლეთგერმანელი მილიტარისტები და რევანშისტები ცდილობენ ხელი იგდონ ეს იარაღი. რეაქციული ბურჟუაზიული ხელოვნება ადამიანებში აღვივებს ქვეყნა გრძნობებს, გველინება როგორც ძველ ზღაპრებსა და გადმოცემებში აღწერილი ბოროტი ძალა, ცდილობს მხეცად აქციოს ადამიანი, წაართვას მას ადამიანური სახე და სული.

და დღეს კვლავინდებურად აქტუალურად გაისმის მთელი მსოფლიოს ხელოვანთათვის მაგსიმ გორკის შეკითხვა: „ვისთან ხართ თქვენ, კულტურის ოსტატებო?“

ჩვენ, საბჭოთა ლიტერატორები, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მწერლის ადგილს განვსაზღვრავთ როგორც კომუნისტები, როგორც ჩვენი დიადი სამშობლოს შვილები, როგორც იმ ქვეყნის მოქალაქენი, რომელიც კომუნისტურ საზოგადოებას აშენებს, როგორც პარტიის, ხალხის, საბჭოთა ადამიანის რევოლუციურ-ჰუმანისტურ შეხედულებათა გამომხატველნი.

სულ სხვა სურათი იქმნება, როცა თავს წამოჰყოფს ხოლმე ვიღაც მჭლაბნელი, რომელიც ჩვენში სულ სხვა რამეს წერს, საზღვარგარეთ კი სხვას. დარბაზის ტაშის გრიალში მ. ა. შოლოხოვი აცხადებს:

— მე ვეკუთვნი იმ მწერლებს, რომლებიც, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, ამაყობენ, რომ დიდი და კეთილშობილი ხალხის პატარა ნაწილაკი არიან, ამაყობენ, რომ მძლავრი და მშვენიერი სამშობლოს შვილები არიან. სამშობლომ შეგვკმნა ჩვენ, მოგვცა ყველაფერი, რაც შეეძლო. უსაზღვროდ ბევრი რამ მოგვცა. სამშობლოსა უნდა ვუმადლოდეთ ყველაფერს, რაც გვაქვს. ჩვენ საბჭოთა სამშობლოს დედას ვეუწოდებთ. ჩვენ ყველანი ერთი დიდი ოჯახის წევრები ვართ. რა უნდა ვთქვათ იმ მოღალატეთა საქციელის გამო, რომლებმაც ხელყვეს ჩვენთვის ყველაზე ძვირფასი? მაგრამ ერთი რუსული ხალხური ანდაზისა არ იყოს: ოჯახში ერთი მახინჯი გამოერევაო. მაგრამ სიმახინჯეც არის და სიმახინჯეც. ვფიქრობ, ყველასათვის გასაგებია, რომ არაფერია იმაზე უფრო ბილწი და საზიზღარი, როცა ცილს სწამებ საკუთარ დედას, უხამსად შეურაცხყოფ და ხელს აღმართავ მის წინააღმდეგ.

იმათ მაგვრად კი არ მრცხვენია, ვინც ცილი დასწამა სამშობლოს და ლაშა ამოსვარა ჩვენთვის ყველაზე წმიდათაწმიდა. ისინი ამორალურნი არიან. მე მრცხვენია იმათ მაგვრად, ვინც ცდილობდა და ცდილობს დაიცვას ისინი, როგორადაც უნდა ასაბუთებდნენ ამ დაცვას. ერთიორად უფრო მრცხვენია იმათ მაგვრად, ვინც თავის სამსახურს სთავაზობს მათ და გვთხოვს თავდებით გადავცეთ მსჯავრდადებული გარეწარნი.

მინდა მივმართო აგრეთვე პასკევლინთა საზღვარგარეთელ ბურჟუაზიულ დამცველებს: თავს ნუ იტყვებთ ჩვენში კრიტიკის ბედისათვის! ჩვენ კრიტიკის ბომბრენი ვართ და ვავითარებთ კიდევაც, იგი მწვავედ გაისმის ჩვენს ახლანდელ ყრილობაზეც. მაგრამ ცილისწამება კრიტიკა არ არის, ლაფი კი მხატვრის პალიტრის საღებავები როდია!

თავისი სიტყვის დასასრულს ნაწილში მწერალმა თქვა, რომ საჭიროა უფრო მეტი მზრუნველობით ვეპყრობოდეთ ჩვენი სამშობლოს ბუნებრივ რესურსებს. მან მწვავედ გააკრიტიკა ის სამინისტროები და ის უწყებანი, რომელთაგან დამოკიდებულია ბუნებისაგან მომადლებული ბაიკალის ტბის მოცვა, აზოვის ზღვის, ვოლგისა და დონის თევზის შენარჩუნება და მომრავლება. მ. ა. შოლოხოვმა გააკრიტიკა ზოგიერთი სამინისტრო იმის გამო, რომ ისინი ცუდად აკმაყოფილებენ სოფლის საჭიროებებს, ცუდად ეწევიან დაგეგმვას.

თავისი სიტყვის დასასრულს მწერალმა თქვა:

— შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, ძვირფასო ამხანაგო დელეგატებო, რომ სამშობლოსა და პარტიის ნამდვილად ერთგულ მწერლია მრავალთასიანი რაზმი მთლიანად ებიარების ჩვენი ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში გამოთქმულ შეხედულებებს ხელოვნებასა და ლიტერატურაზე. სავსებით უჭერს მხარს ჩვენი ლენინური პარტიის პოლიტიკას.

ყრილობის დელეგატებსა და სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ **ცოი ენ გენმა.**

დიდი ლენინის ხელმძღვანელობით, თქვა მან, რუსეთის გმირმა მუშათა კლასმა, რომელმაც კაპიტალისტთა და მემამულეთა ბატონობა დაამხო, მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფო შექმნა. საბჭოთა ხალხი კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში ძლევდა უამრავ სიძნელესა და მკაცრ გამოცდას და ახალი საზოგადოების მშენებლობის გაუკვალავ გზას იკაფავდა. მსოფლიო იმპერიალიზმის ძალები არაერთხელ ცდილან ჩაეხშოთ საბჭოთა სახელმწიფო. მაგრამ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გარშემო მონოლითურად შეკავშირებულმა საბჭოთა ხალხმა მოიგერია გარეშე და შინაგანი მტრების საზიზღარი გამოხდომები და ღირსეულად დაიცვა რევოლუციის მონაპოვარნი, ახლა კი წარმატებით ქმნის კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას.

კორეელ ხალხს ახარებს მოძმე საბჭოთა ხალხის ყველა წარმატება. დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა ხალხი თავისი შემოქმედებითი შრომით პირნათლად შეასრულებს სკკპ XXIII ყრილობის მიერ დასახულ გრანდიოზულ ამოცანებს.

ეი უკვე ოც წელზე მეტია, თქვა ცოი ენ გენმა, ამერიკელ იმპერიალისტთა მიზეზით კორეა ორად გათიშულია. ამერიკელმა იმპერიალისტებმა სამხრეთ კორეა თავიანთ კოლონიად და სამხედრო ბაზად გაიხადეს, ცდილობენ ახალი აგრესიული რბილ პოლიდარმად გამოიყენონ ეგი. მთელი უბედურება და ტანჯვა, რასაც სამხრეთკორელი ხალხი განიცდის, ამერიკელი იმპერიალისტების მიერ წარმოებული კოლონიური დამონების პოლიტიკისა და პაკ ჯონ ხის ანტიეროვნული გამცემლური პოლიტიკის შედეგია. იაპონიის მთავრობამ და სამხრეთ კორეის მარიონეტთა ხრწამ ამას წინათ დადეს არაკანონური „სამხრეთ კორეა-იაპონიის ხელშეკრულება“, რომელიც არა მარტო პოლიტიკურ-ეკონომიური შეთქმულებაა, არამედ სამხედრო კავშირიც არის. იყენებენ რა ამ „ხელშეკრულებას“ როგორც საფუძველს, ამერიკელი იმპერიალისტები ცდილობენ შეაკოწიწონ ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების აგრესიული სამხედრო კავშირი და დაამთავრონ აზიაში ერთიანი ანტიკომუნისტური ბლოკის შექმნა.

ახლა ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტები აფარფოფებენ აგრესიულ ომს ვიეტნამში და აძლიერებენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის შეკობრეულ დაბომბვას. ამერიკელ იმპერიალისტთა აგრესია ვიეტნამის წინააღმდეგ სერიოზული პროვოკაციაა, რომელიც მიმართულია სოციალისტური ბანაკის წინააღმდეგ, მიზნად ისახავს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობასა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ძირის გამოთხრას. შექმნილი ვითარება მთელი ანტიიმპერიალისტური ძალებისაგან მოითხოვს მტკიცე შეკავშირებასა და ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას.

ჩვენი პარტია, ხაზი გაუსვა ცოი ენ გენმა, ისე როგორც წინათ, შეუდამ იქნება ერთგული ინტერნაციონალური მოვალეობისა ბრძოლაში მშვიდობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალიზმისათვის, ძალღონეს არ დაიშურებს სოციალისტური ბანაკის ერთიანობისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირების დაცვისათვის, რომლებსაც საფუძვლად უდევს მარქსიზმ-ლენინიზმი და პროლეტარული ინტერნაციონალიზმი.

კორეელი ხალხისა და საბჭოთა ხალხის საბრძოლო შეგობრობას საფუძველი ჩაეყარა იაპონიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ საერთო ბრძოლაში. დარწმუნებული ვართ, რომ მეგობრობა და თანამშრომლობა, რომლებიც ჩვენს ორ ქვეყანას — კორეასა და საბჭოთა კავშირს შორის არსებობს, — განვითარდება ჩვენი ქვეყნების ხალხთა ინტერესებისათვის, სოციალისტური ბანაკისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ინტერესებისათვის.

დასასრულ ცოი ენ გენი აცხადებს:

— გაუმარჯოს კორეის ხალხისა და საბჭოთა ხალხის მეგობრობასა და შეკავშირებას! გაუმარჯოს სოციალისტური ბანაკის ერთიანობას და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირებას! გაუმარჯოს მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე დროშას!

— გულწრფელად, ისევე როგორც საკუთარი წარმატებებით, როგორც მსოფლიოს მთელი პროგრესული ძალების წარმატებებით ვამაყობთ ჩვენი ერთგული მეგობრის — გმირი საბჭოთა ხალხის წარმატებებით, — განაცხადა ყირილოფი ტრიბუნიდან მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **იუმჟაგინ ცედენბალმა,** რომელსაც დარბაზი ქუხარე ტაშით შეხვდა. — საბჭოთა კავშირი — მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის მედროშე, თანამედროვეობის მთელი მოწინავე პროგრესული ძალების საიმედო ბუჩჯი, — ზიდავს ძირითად ტვირთს მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობის დაცვისა და განმტკიცების საქმეში, ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის მხარდაჭერის, საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების საქმეში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და ყველა საბჭოთა ადამიანი პირნათლად და ღირსეულად ასრულებენ თავიანთ ინტერნაციონალურ მოვალეობას საერთაშორისო პროლეტარიატის, სოციალისტური ქვეყნების მომძლავრებისა და მთელი ამ ძალების წინაშე, რომლებიც იბრძვიან მშვიდობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის. მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ყველაზე გამოწრთობილი რაზმისა და მებრძოლი ავანგარდის — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ღვიძილი გამოცდილება საუკეთესო მაგალითია მარქსისტულ-ლენინური პარტიებისათვის, მომძე სოციალისტური ქვეყნებისათვის.

მონღოლთა ხალხმა, თქვა შემდეგ ამბ. ცედენბალმა, სახალხო-რევოლუციური პარტიის ხელმძღვანელობით შესანიშნავი წარმატებანი მოიპოვა სამშობლოს განვითარებაში, განახორციელა ლენინური მოძღვრება განვითარების არაკაპიტალისტური გზის შესახებ, ფეოდალიზმიდან უშუალოდ სოციალიზმზე გადაგიდა და ახლა წარმატებით წყვეტს სოციალისტური მშენებლობის დამთავრების ამოცანებს. ამ გზაზე დიდმნიშვნელოვანი ხაბიჯი იყო მესამე ხუთწლიანი გეგმის ამოცანების წარმატებით შესრულება, რაც შესაძლებელი გახდა ხალხის თავდადებული შრომის შედეგად, მოძმე სოციალისტური ქვეყნების, უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირის, ყოველმხრივი თანამშრომლობის, დახმარებისა და მხარდაჭერის შედეგად.

1966 წელს მონღოლი ხალხი უდიდესი შრომითი ენთუზიაზმით შეუდგა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების მეოთხე, 1966-1970 წლების ხუთწლიანი გეგმის შესრულებას, რომლის დირექტივებს მიიღებს პარტიის XV ყრილობა, მიმდინარე წლის ივნისში. ყრილობა მიიღებს აგრეთვე მონღოლეთის სახალხო რევოლუციური პარტიის ახალ, მეოთხე პროგრამას, რომელიც მონღოლეთში სოციალიზმის მშენებლობის დამთავრების პროგრამად იქნება.

მონღოლი ხალხის სახელით ამბ. ცედენბალმა გულითადი მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობასა და მთელ საბჭოთა ხალხს გულწრფელი მშვრი დახმარებისათვის, მეგობრობისა და ძმობისათვის, გულწრფელობისა და უანგარობისათვის, გულკეთილობისა და სულერი კეთილშობილებისათვის.

მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტია და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელები მხურვალედ მიესალმებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, რომელიც სულ უფრო მზარდ ეფექტიან დახმარებას უწევს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას მისი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში.

მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტია სავსებით უჭერს მხარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დაუცხრომელ მეცადინეობასა და კონკრეტულ მოქმედებას, რომელთა მიზანია მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობაში არსებულ უთანხმოებათა დაძლევა, სოციალისტური ქვეყნებისა და ყველა მოძმე კომუნისტური პარტიის ერთობისა და შეკავშირების განმტკიცება მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე, 1957 წლის დეკლარაციითა და 1960 წლის განცხადებით განსაზღვრული საერთო ხაზის საფუძველზე.

ორატორმა აღნიშნა, რომ სოციალისტურ ქვეყნებში ყველა ობიექტური პირობაა საერთო მიზნებისათვის ბრძოლაში ხალხთა მეგობრობის, თანამშრომლობისა და ერთიანობის მედროვე და განუხრელი განმტკიცებისათვის. ამოცანა ის არის, რომ ამისათვის უნარიანად გამოიყენონ ის ფართო შესაძლებლობანი, რომელსაც სოციალიზმი ქმნის.

სოციალისტური ქვეყნების ხალხთა მეგობრობისა და ერთიანობის, განაგრძო ორატორმა, მთელი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ვერაგი მტერია ბურჟუაზიული ნაციონალიზმი და ოპიანიზმი, რომლებსაც იმპერიალიზმი აღვიძებს. რეაქციული ნაციონალისტური იდეოლოგიანი არ შეუქმნია დარაბოზოს და აღამაღლოს ერები, უფრო შესაძლებელია, რომ ამ იდეოლოგიის შედეგად მიხდეს ცალკეული ერების თვითგადოლაცია, მათი ღირსების დამცირება.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის კომუნისტები და მშრომელები თავიანთი ფიქრებითა და ოცნებებით, მიზნებითა და საქმეებით ყოველთვის ლენინის სახელოვან პარტიასთან, საბჭოთა კავშირის კომუნისტებთან, ყველა საბჭოთა ადამიანთან ერთად არიან. მონღოლი ხალხი ერთგულია საერთო მეგობრობისა. ეს ერთგულება ამერიკის აგრესიამ ვიეტნამში, ცდიან უზარმაზარი ძალის დამანგრეველ საშუალებებს. დასავლეთგერმანელი მილიტარისტები და რევანშისტები ცდილობენ ხელი იგდონ ეს იარაღი. რეაქციული ბურჟუაზიული ხელოვნება ადამიანებში აღვიძებს ქვანა გრძნობებს, გველინება როგორც ძველ ზღაპრებსა და გადმოცემებში აღწერილი ბოროტი ძალა, ცდილობს მხეცად აქციოს ადამიანი, წაართვას მას ადამიანური სახე და სული.

და დღეს კვლავინდებურად აქტუალურად გაისმის მთელი მსოფლიოს ხელოვანთათვის მაგსიმ გორკის შეკითხვა: „ვისთან ხართ თქვენ, კულტურის ოსტატებო?“

ჩვენ, საბჭოთა ლიტერატორები, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მწერლის ადგილს განვსაზღვრავთ როგორც კომუნისტები, როგორც ჩვენი დიადი სამშობლოს შვილები, როგორც იმ ქვეყნის მოქალაქენი, რომელიც კომუნისტურ საზოგადოებას აშენებს, როგორც პარტიის, ხალხის, საბჭოთა ადამიანის რევოლუციურ-ჰუმანისტურ შეხედულებათა გამომხატველნი.

სულ სხვა სურათი იქმნება, როცა თავს წამოჰყოფს ხოლმე ვიღაც მჭლაბნელი, რომელიც ჩვენში სულ სხვა რამეს წერს, საზღვარგარეთ კი სხვას. დარბაზის ტაშის გრიალში მ. ა. შოლოხოვი აცხადებს:

— მე ვეკუთვნი იმ მწერლებს, რომლებიც, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, ამაყობენ, რომ დიდი და კეთილშობილი ხალხის პატარა ნაწილაკი არიან, ამაყობენ, რომ მძლავრი და მშვენიერი სამშობლოს შვილები არიან. სამშობლომ შეგვკმნა ჩვენ, მოგვცა ყველაფერი, რაც შეეძლო. უსაზღვროდ ბევრი რამ მოგვცა. სამშობლოსა უნდა ვუმადლოდეთ ყველაფერს, რაც გვაქვს. ჩვენ საბჭოთა სამშობლოს დედას ვეუწოდებთ. ჩვენ ყველანი ერთი დიდი ოჯახის წევრები ვართ. რა უნდა ვთქვათ იმ მოღალატეთა საქციელის გამო, რომლებმაც ხელყვეს ჩვენთვის ყველაზე ძვირფასი? მაგრამ ერთი რუსული ხალხური ანდაზისა არ იყოს: ოჯახში ერთი მახინჯი გამოერევაო. მაგრამ სიმახინჯეც არის და სიმახინჯეც. ვფიქრობ, ყველასათვის გასაგებია, რომ არაფერია იმაზე უფრო ბილწი და საზიზღარი, როცა ცილს სწამებ საკუთარ დედას, უხამსად შეურაცხყოფ და ხელს აღმართავ მის წინააღმდეგ.

იმათ მაგვრად კი არ მრცხვენია, ვინც ცილი დასწამა სამშობლოს და ლაშა ამოსვარა ჩვენთვის ყველაზე წმიდათაწმიდა. ისინი ამორალურნი არიან. მე მრცხვენია იმათ მაგვრად, ვინც ცდილობდა და ცდილობს დაიცვას ისინი, როგორადაც უნდა ასაბუთებდნენ ამ დაცვას. ერთიორად უფრო მრცხვენია იმათ მაგვრად, ვინც თავის სამსახურს სთავაზობს მათ და გვთხოვს თავდებით გადავცეთ მსჯავრდადებული გარეწარნი.

მინდა მივმართო აგრეთვე პასკევლინთა საზღვარგარეთელ ბურჟუაზიულ დამცველებს: თავს ნუ იტყვებთ ჩვენში კრიტიკის ბედისათვის! ჩვენ კრიტიკის ბომბრენი ვართ და ვავითარებთ კიდევაც, იგი მწვავედ გაისმის ჩვენს ახლანდელ ყრილობაზეც. მაგრამ ცილისწამება კრიტიკა არ არის, ლაფი კი მხატვრის პალიტრის საღებავები როდია!

თავისი სიტყვის დასასრულს ნაწილში მწერალმა თქვა, რომ საჭიროა უფრო მეტი მზრუნველობით ვეპყრობოდეთ ჩვენი სამშობლოს ბუნებრივ რესურსებს. მან მწვავედ გააკრიტიკა ის სამინისტროები და ის უწყებანი, რომელთაგან დამოკიდებულია ბუნებისაგან მომადლებული ბაიკალის ტბის მოცვა, აზოვის ზღვის, ვოლგისა და დონის თევზის შენარჩუნება და მომრავლება. მ. ა. შოლოხოვმა გააკრიტიკა ზოგიერთი სამინისტრო იმის გამო, რომ ისინი ცუდად აკმაყოფილებენ სოფლის საჭიროებებს, ცუდად ეწევიან დაგეგმვას.

თავისი სიტყვის დასასრულს მწერალმა თქვა:

— შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, ძვირფასო ამხანაგო დელეგატებო, რომ სამშობლოსა და პარტიის ნამდვილად ერთგულ მწერალია მრავალთასიანი რაზმი მთლიანად ებიარების ჩვენი ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში გამოთქმულ შეხედულებებს ხელოვნებასა და ლიტერატურაზე. სავსებით უჭერს მხარს ჩვენი ლენინური პარტიის პოლიტიკას.

ყრილობის დელეგატებსა და სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ **ცოი ენ გენმა.**

დიდი ლენინის ხელმძღვანელობით, თქვა მან, რუსეთის გმირმა მუშათა კლასმა, რომელმაც კაპიტალისტთა და მემამულეთა ბატონობა დაამხო, მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფო შექმნა. საბჭოთა ხალხი კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში ძლევდა უამრავ სიძნელესა და მკაცრ გამოცდას და ახალი საზოგადოების მშენებლობის გაუკვალავ გზას იკაფავდა. მსოფლიო იმპერიალიზმის ძალები არაერთხელ ცდილან ჩაეხშოთ საბჭოთა სახელმწიფო. მაგრამ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გარშემო მონოლითურად შეკავშირებულმა საბჭოთა ხალხმა მოიგერია გარეშე და შინაგანი მტრების საზიზღარი გამოხდომები და ღირსეულად დაიცვა რევოლუციის მონაპოვარნი, ახლა კი წარმატებით ქმნის კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას.

კორეელ ხალხს ახარებს მოძმე საბჭოთა ხალხის ყველა წარმატება. დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა ხალხი თავისი შემოქმედებითი შრომით პირნათლად შეასრულებს სკკპ XXIII ყრილობის მიერ დასახულ გრანდიოზულ ამოცანებს.

ეი უკვე ოც წელზე მეტია, თქვა ცოი ენ გენმა, ამერიკელ იმპერიალისტთა მიზეზით კორეა ორად გათიშულია. ამერიკელმა იმპერიალისტებმა სამხრეთ კორეა თავიანთ კოლონიად და სამხედრო ბაზად გაიხადეს, ცდილობენ ახალი აგრესიული რბილ პოლიდარმად გამოიყენონ ეგი. მთელი უბედურება და ტანჯვა, რასაც სამხრეთკორელი ხალხი განიცდის, ამერიკელი იმპერიალისტების მიერ წარმოებული კოლონიური დამონების პოლიტიკისა და პაკ ჯონ ხის ანტიეროვნული გამცემლური პოლიტიკის შედეგია. იაპონიის მთავრობამ და სამხრეთ კორეის მარიონეტთა ხრწამ ამას წინათ დადეს არაკანონური „სამხრეთ კორეა-იაპონიის ხელშეკრულება“, რომელიც არა მარტო პოლიტიკურ-ეკონომიური შეთქმულებაა, არამედ სამხედრო კავშირიც არის. იყენებენ რა ამ „ხელშეკრულებას“ როგორც საფუძველს, ამერიკელი იმპერიალისტები ცდილობენ შეაკოწიწონ ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების აგრესიული სამხედრო კავშირი და დაამთავრონ აზიაში ერთიანი ანტიკომუნისტური ბლოკის შექმნა.

ახლა ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტები აფარფოფებენ აგრესიულ ომს ვიეტნამში და აძლიერებენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის შეკობრეულ დაბომბვას. ამერიკელ იმპერიალისტთა აგრესია ვიეტნამის წინააღმდეგ სერიოზული პროვოკაციაა, რომელიც მიმართულია სოციალისტური ბანაკის წინააღმდეგ, მიზნად ისახავს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობასა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ძირის გამოთხრას. შექმნილი ვითარება მთელი ანტიიმპერიალისტური ძალებისაგან მოითხოვს მტკიცე შეკავშირებასა და ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას.

ჩვენი პარტია, ხაზი გაუსვა ცოი ენ გენმა, ისე როგორც წინათ, შეუდამ იქნება ერთგული ინტერნაციონალური მოვალეობისა ბრძოლაში მშვიდობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალიზმისათვის, ძალღონეს არ დაიშურებს სოციალისტური ბანაკის ერთიანობისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირების დაცვისათვის, რომლებსაც საფუძვლად უდევს მარქსიზმ-ლენინიზმი და პროლეტარული ინტერნაციონალიზმი.

კორეელი ხალხისა და საბჭოთა ხალხის საბრძოლო შეგობრობას საფუძველი ჩაეყარა იაპონიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ საერთო ბრძოლაში. დარწმუნებული ვართ, რომ მეგობრობა და თანამშრომლობა, რომლებიც ჩვენს ორ ქვეყანას — კორეასა და საბჭოთა კავშირს შორის არსებობს, — განვითარდება ჩვენი ქვეყნების ხალხთა ინტერესებისათვის, სოციალისტური ბანაკისა და

რევოლუციური პრინციპულობა, ნათელი მიზანი

სკკპ XXIII ყრილობა მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში

ჰანოიდან პარიზამდე, ახალი ზელანდიის დედაქალაქ ველინგტონიდან ისლანდიის ქალაქ რეიკიავიკამდე, ზანზიბარიდან ოტავამდე, სტამბულიდან „მარადიულ ქალაქ“ რომამდე ყველა მმართველობა პრესის ორგანოები, რადიო და ტელევიზია უდიდეს ყურადღებას უთმობენ სკკპ XXIII ყრილობას, რომელიც მოსკოვში მიმდინარეობს. ცნობებს ყრილობის მუშაობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების შესახებ, რომელიც გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა, აქვეყნებენ გაზეთების პირველ გვერდებზე, რეგულარულად გადაცემენ რადიოთი და ტელევიზიით.

სხვადასხვანაირად ეკიდებიან XXIII ყრილობას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს მეგობრები და მოწინააღმდეგეები. მაგრამ ყველა ისინი საერთო აზრს გამოთქვამენ: ყრილობის, მისი გადაწყვეტილებების მნიშვნელობა სცილდება საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბანაკის ფარგლებს. ეს მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენაა. „სკკპ XXIII ყრილობას, ამბობს ულან-ბატორის (მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის) ერთ-ერთი საწარმოს პარტიული უჯრედის მდივანი მუშა ჩოიჟინიამი, უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს, რადგან ამ ყრილობაზე დასმულია ყველა საჭირბოროტო საკითხი, რომელიც ამჟამად აღელვებს კაცობრიობას“.

ბურჟუაზიული გაზეთი „სიდნეი მორნინგ ჰერალდი“, რომელიც ავსტრალიის ქალაქ სიდნეიში გამოდის, XXIII ყრილობას ახასიათებს როგორც „XX საუკუნის თვალსაჩინო პოლიტიკურ მოვლენას, რომლის გავლენა და შედეგები დიდხანს იქნება მნიშვნელოვანი ფაქტორი მსოფლიოს ხალხთა ცხოვრებაში“. სკკპ XXIII ყრილობა, წერს თურქეთის გაზეთი „ჯუმჰურიეთი“, დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა, რომელიც პირდაპირ და არა პირდაპირ გავლენას მოახდენს მთელი მსოფლიო საზოგადოების ცხოვრებაზე“.

ჩვენი პარტიისა და საბჭოთა კავშირის მეგობრებმა. მთელი მსოფლიოს მშვიდობ-ება და პროგრესის მომხრეებმა საანგარიშო მოხსენება აღიქვეს როგორც დადასტურება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის — დიადი სოციალისტური სახელმწიფოს ხელმძღვანელი ძალის მტკიცე გადაწყვეტილებისა — მუდამ იხელმძღვანელოს საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებლის ვ. ი. ლენინის ანდერძით.

„ცენტრალური კომიტეტის მოხსენებამ, — წერს საფრანგეთის კომუნისტთა გაზეთი „ლუმანიტე“, — მისცა ტონი, რომელიც, უეჭველია, იქნება ყრილობის ტონი მთელი მისი მუშაობის მანძილზე. ჩვეულებრივზე უფრო მოკლე მოხსენება უფრო დახვეწილია. მოკლებულია მაღალფარდოვან ფრაზებს, თავშეკავებულია... მოხსენებისა და მთელი ყრილობის ყურადღების ცენტრში დვახ საკითხი: როგორ შეუდგანენ უკეთეს პირობებში კომუნიზმის მშენებლობის ახალ ეტაპს, რომელსაც წარმოადგენს ახალი ხუთწლიანი გეგმა“. „მთელმატიკურად ზუსტსა“ და „საქმიანად გაბედულს“ უწოდებს ხკკ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებას პოლონეთის გაზეთი „ეოლნეე ვოლნოსტი“.

ამავე დროს საანგარიშო მოხსენებამ, რომელშიც გაანალიზებულია არა მარტო წარმატებანი, არამედ ნაკლოვანებანი და სიძნელეებიც, დაადნინა სენსაციებისა და „მოულოდნელობათა“ მოყვარულნი. განსაკუთრებით შესამჩნევად გააბრაზა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის არაკეთილმოსურნენი და მოწინააღმდეგენი მისმა მშვიდმა, მტკიცე პოზიციამ მარქსიზმ-ლენინიზმის ურყევ საფუძველზე. მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის შემდგომი შეკავშირების საქმეში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მისწრაფებამ კვლავაც განმტკიცოს ეს ერთობა. დასავლეთის ბევრი პროპაგანდისტი იძულებულია აგრეთვე აღიაროს, რომ ჩაიფუშა ცდები საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ცხოვრებაში ეძებონ ეგრეთწოდებული „სტალინიზმის ელემენტები“. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებამ, ჩივის ამერიკის გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“, „კიდევ ერთხელ დაადასტურა, რამდენად საშიშია აჰკვე ისეთ მონაბეჭრობს, როცა სასურველს სინამდვილად ასაღებენ“

მომომხილველები და კომენტატორები დიდ ყურადღებას უთმობენ საანგარიშო მოხსენებაში მოცემულ დებულებს სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური სისტემების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის შესახებ და აღნიშნავენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მტკიცე, ურყევ პოზიციას აგრესორთა ალაგმვის, ატომური ომის თავიდან აცილების. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობებისადმი ყოველმხრივი დახმარების საქმეში.

საზღვარგარეთის თითქმის ყველა მეთვალყურე აღნიშნავს, რომ საანგარიშო მოხსენებაში მკაცრად დაგმობილია ამერიკის აგრესია ვიეტნამის მიმართ, დადასტურებულია საბჭოთა ხალხის ძმური სოლიდარობა ვიეტნამელ ხალხთან. „შეწყდეს ამერიკის აგრესია ვიეტნამში, — ასეთია საბჭოთა კავშირის დაჟინებით მოთხოვნა“, — ხაზგასმით აღნიშნავს იაპონიის გაზეთი „ტოკიო სიმბუნი“.

პოლონეთის „ეოლნეე ვოლნოსტი“ განმარტავს საანგარიშო მოხსენების დებულებებს, რომლებიც შეიცავენ მკაცრ გაფრთხილებას დასავლეთგერმანელ რევანშისტებისა და მათი მფარველების მიმართ. „ის ფაქტი, რომ დიდმნიშვნელოვან პრობლემებთან ერთად, რომლებიც ეხება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმიანობას, საბჭოთა ქვეყნის მშვიდობიან განვითარებასა და საერთაშორისო ვითარებას, გერმანიის საკითხმა ეხოდენ დიდი ადგილი დაიკავა საანგარიშო მოხსენებაში XXIII ყრილობაზე, წერს გაზეთი, მოწმობს, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დასავლეთგერმანელ რევანშისტთა საქმიანობის აღკვეთას“.

აფრიკის ქვეყნების, ლათინური ამერიკის სახელმწიფოთა პრესა და რადიო ხაზს უსვამენ საანგარიშო მოხსენების იმ დებულებებს, სადაც ლაპარაკია საბჭოთა კავშირის დახმარებაზე ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისადმი, საბჭოთა კავშირის თანამშრომლობაზე ახალგაზრდა დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან. გვინეის რადიო აღნიშნავს, რომ XXIII ყრილობა პროლეტარული სოლიდარობის მძლავრი დემონსტრაციაა. დაგომეის გაზეთმა „დემოკრატმა“ ნომრის ნ-ნეგარი დაუთმო მასალებს, რომლებიც ეხება კომუნიზმის იდეებს და მათს განხორციელებას საბჭოთა-კავშირში. გაზეთი აღნიშნავს უდიდეს წარმატებებს, რომლებიც მოპოვებულია ესოდენ მოკლე ისტორიულ ვადაში.

...ტელეტაიპის. ტელეფონისა და რადიოს არხებით ჩვენი პლანეტის ყოველ კუთხეში ვრცელდება ცნობები, კომენტარები. ანგარიშები პარტიის XXIII ყრილობის მუშაობის შესახებ. ეს ცნობები დღესვე გამოქვეყნდება გაზეთებში. გადაიცემა რადიოთი და ტელევიზიით. მათ ნაიკითხავს და მოისმენს ასეულ მილიონობით ადამიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი. ნპ-ე საშუალო სკოლის პედაგოგები ეცნობიან ყრილობის მასალებს.

ფოტო გ. გოგობერიძისა.

ორი სამყარო, ორი გეგმა

ლონდონი, 1 აპრილი. (საკდესი). ინგლისის ყოველკვირეული „კომენტატორ“ ადარებს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966-1970 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ დირექტივების პროექტის მაჩვენებლებს ინგლისის ლეიბორისტული მთავრობის ამავე პერიოდის გეგმის მაჩვენებლებს.

საბჭოთა გეგმა, ნათქვამია სტატიაში, მიზნად ისახავს ხუთი წლის მანძილზე 50 პროცენტით გაადიდოს სამრეწველო წარმოება. ლეიბორისტული მთავრობის ეროვნული გეგმა სახავს 1964-1970 წლებში 25 პროცენტით ზრდას. ნიშნავს თუ არა ეს, ვეკითხებით ჟურნალი, რომ საბჭოთა გეგმის შემდგენელები მიზნად ისახავენ უზომო მიზნებს და ნაკლებ რეალისტურად აზროვნებენ, ვიდრე მათი ინგლისელი კოლეგები?

სრულიადაც არა. ისინი თავიანთ გეგმებს საფუძვლად უდებენ წარსულ მაჩვენებლებს. სამწუხაროდ, სწორედ ინგლისის გეგმის შემდგენელები მეტისმეტად ოპტიმისტები არიან. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ინგლისის მრეწველობის ზრდის ყოველწლიურმა ტემმა საუკეთესოდ შეადგინა 2.5 პროცენტი და ლეიბორისტების ხელისუფლების სათავეში 17 თვის ყოფნის მანძილზე კი მაჩვენებელი არ გადიდებულა.

ინგლისის გეგმა. ნათქვამია შემდეგ, მიზნად ისახავს 3-3,5 პროცენტამდე გაადიდოს ხელფასი წელიწადში, ესე იგი 17,5 პროცენტით ხუთი წლის მანძილზე. მაგრამ გამოცდილებით ხომ ვიმსჯელებთ, ეს გადიდება, როგორც წესი, მნიშვნელოვან წილად არარად იქცევა ფასების ზრდის გამო.

საბჭოთა გეგმა, ხაზგასმულია სტატიაში, მიზნად ისახავს ერთ სულ მოსახლეზე დაახლოებით 30 პროცენტით გაადიდოს რეალური შემოსავალი.

იმ დროს, როდესაც ინგლისის გეგმაში სოციალური მომსახურების გაფართოების ამოცანები დამოკიდებულია ეკონომიკის ზრდის ტემპის ზოგარული 25 პროცენტით გადიდებაზე. საბჭოთა გეგმა ითვალისწინებს უაღრესად რეალურ და არსებით კეთილდღეობას ხალხისათვის.

საბჭოთა გეგმის ძირითადი უპირატესობა ინგლისის გეგმის წინაშე ის არის, აღნიშნავს „კომენტატორ“, რომ იგი ემყარება სოციალისტურ ეკონომიურ სისტემას.

ლ. ჯონსონის პრეს-კონფერენცია

ვაშინგტონი, 1 აპრილი. (საკდესი). გუშინ მოწოლილ მოწვეულ პრეს-კონფერენციაზე პრეზიდენტმა ლ. ჯონსონმა განაცხადა, რომ 30 მარტს საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან, პროფკავშირულ მოღვაწეებთან და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს სახელმწიფო მდივანმა რასკმ გააკეთა საერთაშორისო მდგომარეობის მიმოხილვა. იგი, კერძოდ შეეხო ტაქტის დაკლარაციას და სსრ კავშირთან ურთიერთობას. ვიცე-პრეზიდენტი ჰიმფრი დამსწრეებს ესაუბრა ანაზი მოგზაურობაზე თავდაცვის მინისტრმა მაკნამარამ კი ილაპარაკა თავდაცვის სამინისტროს საქმიანობასა და ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მზადყოფნაზე. ჯონსონმა განაცხადა, რომ კვლავაც მოაწყობს ასეთ შეხვედრებს ამერიკის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა უარი თქვა გაეშუქებინა საფრანგეთის მთავრობის გადაწყვეტილება საფრანგეთის ტერიტორიიდან ამერიკის ჯარების გაყვანისა და სამხედრო ბაზების გადატანის კონკრეტული ვადების დაწესების შესახებ. იგი დასჯერდა მხოლოდ განცხადებას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მუშაობს ამ პრობლემაზე.

ჯონსონმა უარი განაცხადა აგრეთვე ეთქვა რაიმე პოლიტიკურ დემონსტრაციებზე, რომლებიც ახლა ეწყობა სამხრეთ ვიეტნამში საიგონის რეჟიმის წინააღმდეგ.

პრეზიდენტს ბევრი შეკითხვა მისცეს ამერიკის ეკონომიური მდგომარეობის, მოსალოდნელი ინფლაციისა და დადასახადების ახალი მომატების შესაძლებლობის შესახებ. ამერიკის საზოგადოებრივი აზრის მთელი გამოითხვა გვიჩვენებს, თქვა მან, რომ ამერიკელი ხალხი შეწუხებულია სიძვირის მატების გამო.

ARჩევნების პირველი შედეგები ინგლისში

ლონდონი, 1 აპრილი. (საკდესი). ლეიბორისტულმა პარტიამ დიდი გამარჯვება მოიპოვა პარლამენტის არჩევნებში, თუმცა არჩევნების საბოლოო შედეგები ჯერ არ არის ცნობილი. (დილის სამ საათზე ლონდონის დროით შეწყდა პუბლიკაცია). უკანასკნელი ცნობების თანახმად, ლეიბორისტებმა თემთა პალატაში, სადაც 630 ადგილია, მიიღეს 302 ადგილი. კონსერვატორებმა 149, ლიბერალებმა—5 ადგილი.

არჩევნების საბოლოო შედეგები ხვალ გამოირკვევა.

ლონდონი, 1 აპრილი. (საკდესი). ლეიბორისტულმა პარტიამ გაიმარჯვა პარლამენტის არჩევნებში, რომელიც გუშინ გაიმართა. უკანასკნელი მონაცემების თანახმად. ლეიბორისტებმა უკვე მოიპოვეს 316 ადგილი 630 ადგილიდან თემთა პალატაში. ახლა მთავარია, რა უმრავლესობას მოიპოვებს ლეიბორისტული პარტია, რომელსაც წარსულში უმნიშვნელო უპირატესობა ჰქონდა პარლამენტში. ხმების დათვლა გრძელდება.

230 ათასი ინტერვენტი

ვაშინგტონი, 1 აპრილი. (საკდესი). ამერიკის ჯარების რიცხვი სამხრეთ ვიეტნამში 15 ათასით გადიდდა მარტში და 230 ათასს მიაღწია. ეს ცნობა გუშინ გამოაქვეყნა ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტრომ.

შეტაკება პარტიზანებთან

ჰავანა, 1 აპრილი. (საკდესი). ვენესუელის ლარის შტატის დაბა პარამონში მოხდა ახალი შეტაკება პარტიზანებსა და მთავრობის ჯარებს შორის. როგორც პრესსა ლატინას საგენტოს კორესპონდენტი ქალაქ კარაკასიდან იუწყება, გაჩაღებული ბრძოლის დროს დაიხოცა ორი და დაშავდა რამდენიმე კაცი.

თურქეთის დედაქალაქი მიესალმება ქართველ მოცეკვავეებს

ანკარა, 31 მარტი. საკდესის კორესპონდენტი ნ. კუდრიავცევი იუწყება: მეორე თვეა გრძელდება თურქეთში საქართველოს სსრ ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის გამოსვლები სსრ კავშირის სახალხო არტისტების, სახელმწიფო პრემიის ლაურეატების ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით. სტამბოლსა და იზმირში წარმატებით გამოსვლის შემდეგ 30 მარტს სალამის ანსამბლმა პირველი კონცერტი ჩამართა ანკარაში. კონცერტმა დიდი წარმატებით ჩაიარა პროგრამის ყველა ნომერს მჭუხარე ტაშით ხვდებოდნენ. ხოლო „წარმოდგენის დამთავრების შემდეგ მაყურებლებმა ხანგრძლივი ოვაცია გაუმართეს მსახიობებს.

კონცერტს დაესწრნენ მეჯლისის თავმჯდომარე ბოზბეიღი, სახელმწიფო მინისტრი ოჯაკი, ტურიზმისა და ინფორმაციის მინისტრი კიურშატი, ფეჩრიბის მინისტრი ზერენი, გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე ტუნაა, ანკარის მერი ერკუტი, დიპლომატიური კორპუსის წევრები, თურქეთის პოლიტიკური და საზოგაოო მოღვაწეები. „ეკვეები ძალიან მომეწონა. მხახიობები ჩინებულნი არიან მომზადებული, შესანიშნაია კოსტიუმები. წარმოდგენები, რომლებზეც თურქეთის საზოგადოებას შესაძლებლობა აქვს გაიცნოს ქართული ხალხური ეკვეები, წარმატებით მიმდინარეობს“ — განაცხადა საკდესის კორესპონდენტს ანსამბლის გამოსვლების შემდეგ ტურიზმისა და ინფორმაციის მინისტრმა კიურშატმ.

თურქეთის დედაქალაქში ანსამბლის გამოსვლები ორ კვირას გაგრძელდება.

წყალდიდობის შედეგები იაპონიაზე

ლონდონი, 1 აპრილი. (საკდესი). ძლიერმა წყალდიდობამ, რომელმაც ერთ კვირას გასტანა იაპონიის ცენტრალურ და აღმოსავლეთ რაიონებში, დიდი ზარალი მიაყენა ამ კუნძულის მოსახლეობას. ამას იუწყება რეიტერის სააგენტო. უკანასკნელი მონაცემების თანახმად, დანგრეულია 30.000 სახლი, ხუთასი ათასი მცხოვრები უსახლკაროდ დარჩა. წყალდიდობის დროს დაიღუპა 156 კაცი, ასობით მცხოვრები უგზოუკვლოდ დაიკარგა.

უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში ეს უდიდესი წყალდიდობა იაპონიაზე გამოწვეული კოკისპირულმა წვიმებმა. წყლის ნაკადმა დაანგრია გიგანტური კაშხალი მდინარე სოლოზე, გადმოხეთქილმა წყალმა დატბორა კუნძულის უზარმაზარი ტერიტორია.

დიდკანელიანი სახლეგი

ჟუთაისი. (საკ. კორ.). ქუთაისის სახლთსამშენებლო კომბინატმა, რომელიც გასულ წელს, ამუშავდა, სამშენებლო ინდუსტრიის მოწინავე საწარმოს სახელი მოიხვეჭა.

შარშან სახლთამშენებლებმა მიერ დამზადებული ნაკეთობებით 12.240 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის შვიდი სახლი აშენდა. წელს კომბინატმა არა მარტო ნაკეთობანი უნდა გამოუშვას, არამედ უნდა დაამონტაჟოს 25.000 კვადრატული მეტრი ფართობის 19 დიდკანელიანი მრავალსართულიანი სახლი.

კომბინატის კოლექტივი დიდკანელიან სახლებს აშენებს როგორც ქუთაისში, ისე ენგურჰესის მშენებლობაში, ნაყალტუბოში, სამტრედიაში, ფოთში, ცხაკაიაში.

საორტელი ქრონიკა

△ ჩვენი ქვეყნის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი, რომელიც ამხანაგურ მატჩებს მართავს იუგოსლავიაში, სარაევოში შეხვდა იუგოსლავიის ეროვნულ გუნდს. გამმარჯვეს მასპინძლებმა — 1:0.

საბჭოთა ნაკრბი ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: კავაზაშვილი, გეტმანოვი, ფეონინი, ვორონინი, დანილოვი, ჰუსაინოვი, საბო, ჩისლენკო, პონედელნაკი, ოპაიკი. მესხი (მალაფეევი).

△ მარ-დელ-პლატაში (არგენტინა) დამთავრდა საერთაშორისო საბადრაკო ტურნირი. პირველი ადგილი დაიკავა საბჭოთა გროსმაისტერმა ვ. სმისლოვმა, რომელმაც 11 ქულა დააგროვა.

△ კიევში შეიარაღებულ ძალთა საკავშირო პირველობაზე ახალი მსოფლიო რეკორდი დამყარა ს. ლობატინმა (ქვეყანაშეალო წონა). აჭიმვაში მან დაძლია 149,5 კილოგრამი.

ვატჩი ქუთაისში

გუშინ ქუთაისში ადგილობრივმა ტორპედომ გამართა საკონტროლო მატჩი. ქართველ ფეხბურთელთა სტუმრები იყვნენ ერევნის „არარატის“ სპორტსმენები.

მასპინძლებმა ძლიერად ჩაატარეს შეხვედრა და გაიმარჯვეს 2:0. ბურთები გაიტანეს ზურხაძემ და ხაჟალიამ.

„ტორპედო“ ასეთი შემადგენლობით თამაშობდა. კვასხვაძე, ლოსაბერიძე, ნოვწეოვაძე, წვერავა, ზარია (ძოძუაშვილი), ასლტამეანი, კუტივაძე, ვეკუა, ჩხარტიშვილი, ხაჟალია, ხერხაძე.

ფინიშის სუნთქვა

საქართველო ო ხ

საჭადრაკო ჩემპიონატზე გადამწყვეტი დღეები დგება.

მეთერთმეტე ტურში ფ. ჯინჯიხაშვილმა მოუგო ვ. დავითაშვილს, ვ. უბილავამ — გ. მუკნიაშვილს, თ. გიორგაძემ — ვ. კერნოფოვსკის, ი. ლომბიამ — მ. ჩაგუნავას, ს. ჩეჩელიანმა—ა. ბუენცაძეს, ი. ჩიქოვანმა — ვ. თოხაძეს, ა. ბოკუჩავამ —ა. რაზოვსკის, ა. ჩხაიძემ — ნ. ალექსანდრიას, ბ. გურგენიძე-ა. ბუსლაევის პარტია გადაიდო მწვავე მდგომარეობაში.

გუშინ მეთორმეტე ტურში რ. ჯინჯიხაშვილმა მოუგო ბ. გურგენიძეს, ა. ბუსლაევმა — ა. გეენცაძეს, ნ. ალექსანდრიამ — ე. უბილავას, ს. ჩეჩელიანმა — მ. ჩაგუნავას, ი. ჩიქოვანმა — ვ. დავითაშვილს, თ. გიორგაძემ — ვ. თოხაძეს. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

12 ტურის შემდეგ 10 ქულით პირველ ადგილზეა რ. ჯინჯიხაშვილი. ა. ბუსლაევს 9 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს. 8,5 ქულა აქვს თ. გიორგაძეს.

ონკოლოგების ახალი იარაღი

კიბრ. ეს შემაძრწუნებელი დიაგნოზი ყოველთვის როდი ნიშნავს განუკურნებელს.

კლინიკაში მოვედა ცნობილი მსახიობი ქალი. მას მეტად მძიმე მიშვებული ფორმის კიბო აღმოაჩნდა. და აი ბენზოტეფით მკურნალობის კურსის გაღის შემდეგ იგი კვლავ სიცოცხლეს დაუბრუნდა — ახლა ისევ გამოდის თეატრში, ხშირად მოგზაურობს საგასტროლოდ ძნელადღა თუ იცნობთ მასში ინ ავადმყოფს. რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ პალატაში იწვა. როგორც ახალი ამბავის საგვენტოს კორესპონდენტი გვიამბობს, კიევის სამედიცინო ინსტიტუტის სამეანო-გინეკოლოგიურ კლინიკაში დაახლოებით სამსამა ავადმყოფმა გაიარა ბენზოტეფით მკურნალობის კურსი და შედეგებიც ფრიად სასიხარულოა.

ამ პრეპარატის სინთეზირება მოახდინეს კიევის ფარმაკოლოგიისა და ტოქსიკოლოგიის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში. მისი ავტორები არიან ქიმიკოსები პროფესორი კონსტანტინ კორნევი, ლორა პროცენკო და ექიმები პროფესორი პეტრე როდიონოვი და პეტრე სოლოგუბი.

რასაკვირველია, იმის თქმა, რომ ნაპოვნია კიბოსაგან საკსებით განმკურნავი პრეპარატი, არ შეიძლება. ბენზოტეფს ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს. იგი ნაკლებად ტოქსიკურია და არც გვერდითს მოგლენებს იწვევს კუჭ-ნაწლავის ტრაქტში, როგორც, მაგალითად, „ტოტეფეი“.

საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ უკვე ახლო ხანში ექიმი-ონკოლოგები მიიღებენ კიბოს საწინააღმდეგო კიდევ უფრო ქმედითს პრეპარატებს.

ინ. ნ. ჯინჭარაძე

გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი, სკკპ წევრი 1918 წლიდან, პერსონალური პენსიონერი იაგორ ნესტორის-ძე ჯინჭარაძე.

ი. ნ. ჯინჭარაძე დაიბადა 1897 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ნაბეღლავში. იგი 17 წლის ასაკში დაუახლოვდა რევოლუციურად განწყობილ ახალგაზრდობას და იარაღით ხელში იბრძოდა ცარიზმის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. 1919 წლის ნოემბერში ი. ჯინჭარაძე დაპატიმრებულ იქნა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ამხ. ი. ჯინჭარაძე მუშაობდა სახალხო განათლების სისტემაში.

ი. ჯინჭარაძემ 1933 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. 1934-36 წლებში იგი ჯერ სალამის კომუნისტური უნივერსიტეტის დირექტორია, ხოლო შემდეგ საქართველოს სსრ იუსტიციის კომისარიატის სამართლის სკოლას ხელმძღვანელობს.

ი. ჯინჭარაძე ფრონტზე მიღებული მძიმე ჭრილობის შემდეგ დემობილიზებულ იქნა და დაუბრუნდა თავის საყვარელ პროფესიას — პედაგოგობას. 1961 წელს ჯანმრთელობის გაუარესების გამო, პენსიაზე გადავიდა.

შესანიშნავი პედაგოგი, გულისხმიერი, სათნო და თავდაბალი ადამიანი — ასეთი იყო ი. ჯინჭარაძე და ასეთივე დარჩება მისი აღზრდილებისა და მეგობრების ხსოვნაში.

ამხანაგების ჯგუფი.

ფინალისტები გამოვლინდნენ

ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშება კალათბურთში დასასრულს უახლოვდება. ბოლონიის „ლიდოს“ სპორტულ დარბაზში გაიმართა ნახევარფინალური მატჩები.

პირველები ერთმანეთს შეხვდნენ პრაღის „სლავია“ და ათენის აეკ-ი. „საგარეშით 103:73 გაიმარჯვეს ჩეხოსლოვაკიელებმა და ფინალში გავიდნენ.

მეორე ფინალისტი გამოვლინდა მილანის „სიმენტალისა“ და მოსკოვის ცსკა-ს ორთაბრძოლაში. მასპინძლებმა შეძლეს დაემარცხებინათ მეტოქე — 68 : 57.

რას ფიქროგენ მეტოქეები?

9 აპრილს იწყება მატჩი მსოფლიოს პირველობაზე გროსმაისტერებს ტ. პეტროსიანსა და ბ. სპასკის შორის. ეს მოჭადრაკეები 15-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს, აქედან მსოფლიოს ჩემპიონმა მოიგო ერთი, დანარჩენი კი უაიმით დამთავრდა. ცხადია, ეს გარემოება ძნელ მდგომარეობაში აგდებს პროგნოზის მოუვარულებს. გროსმაისტერების უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ მეტოქეები დაახლოებით თანაბარი ძალისა არიან და უნდა ველოდეთ ყაიმების სიმრავლეს.

ახლა კი ვნახოთ როგორ ემზადებოდნენ მეტოქეები მსოფლიოს ჩემპიონატის მომავალი მატჩისათვის.

პეტროსიანი. მე მოსკოვში ვემზადებოდი, არ მინდოდა ოჯახს დავშორებოდი. ჭადრაკი, თხილამურები, კვლავ ჭადრაკი, ფოტოაპარატი და ბილიარდი — აი საწვრთნელი პერიოდის კარგი კომპონენტები.

— გროსმაისტერი ფლორი თავის ერთ-ერთ კორესპონდენციაში წერდა, რომ მართალია თქვენ სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივს“ ეკუთვნით, მაგრამ მატარებელივით როდი ამოლებთ. მაშ რით აიხსნება, რომ ჩვენი საუბრის დროს თქვენ განუწყვეტლივ ეწევით?

სპასკი. ფლორი მართალია, ჭადრაკის თამაშის დროს მე როდი ვეწევი. შეავდები დაწყებამდე თავი დავანებო თამბაქოს.

ჩემი რეჟიმი ჩვეულებრივია. ვიხვენებ და თან ვემზადები. მე ადრე შემეძლო ჭადრაკი თვეობით მომეგოწყებინა, მაგრამ ახლა, გასაგებია, რომ ამის გაკეთება არ შეიძლება.

ბორის ვასილის-ძეს, სპორტის როგელ სახეობას მიესვეთ მატჩისათვის მზადების დროს? ამბობენ, რომ თქვენ ბატაცებული ხართ ძალოსნობით?

სპასკი. ეს მთლად ასე არ არის. ოდესღაც ძლიერ მიტაცებდა კრივი. ეს გასაგებიც არის. ჩემი საყვარელი სპორტსმენი ხომ ვალერი პოპენჩენკოა. ამას წინათ მოთხრეს, რომ კრივის ეს ჩინებული ოსტატი ჭადრაკში ოსტატობის კანდიდატი გამხდარა. მე, რა თქმა უნდა, კრივში ვერასოდეს მივაღწევ ესოდენ წარმატებებს.

ბორის ვასილის-ძეს, რომელ დარბაზში ისწრთვნებთ თამაშს?

პეტროსიანი. ეს მნიშვნელოვანი საკითხია. მინდა ადრინდელი ამბები გავიხსენო. ერთხელ მომიხდა მეთამაშა ტურნირში, რომელიც კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში მიმდინარეობდა. ყოველ ტურზე ისე მივდიოდი, როგორც ზეიმზე. ასეთი დიდებულ დარბაზში ყოფნისას როდი გინდა პარტია სწრაფად დაამთავრო ყაიმით. აქ საზეიმო განწყობილებაა, ბევრი სინათლეა.

ბუნებრივია ორივე მეტოქეს დავუსვეთ შეკითხვა მატჩის მოსალოდნელი შედეგის შესახებ. მაგრამ ორივე გროსმაისტერმა ერთსულოვნად თავი შეიკავა.

„დინამოს“ სტადიონი

აკ. წერეთლის პროსპ. № 2

ტელ. 5 -21-62

2 აპრილს

ფეხბურთი

ამხანაგური შეხვედრა „ა“ კლასის I ჯგუფის გუნდებს შორის „ზენიტი“ ლენინგრადი „დინამო“ თბილისი

ძირითადი შემადგენლობანი

დასაწყისი 16 საათზე.

ბილეთები წინასწარ გაიყიდება სტადიონის სალაროებში 2 აპრილს 10 საათიდან.

ჩვენ ვცხოვრობთ, ჩვენ ვოფლობთ

ტელევიზია

2 აპრილი

11:00 — დოკუმენტური ფილმი, 12.00 — პარტიის ყრილობის დღიური (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.55 — გადაკეთმათა პროგრამა, 17.00 — პატარებისათვის — „ცეროდენა ეკრანი“, 17.30 — „ეთროსკლასელთათვის — „შენ სათ, მეგობარო?“, 17.45 — განცხადებები, 17.50 — კონცერტი, 18.00 — „ახალგაზრდა პოეზიის ფესტივალი“ (დასკვნითი საღამო), 18.50 — კონცერტი, 19.00 — პარტიის ყრილობის დღიური (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.20 — სატელევიზიო ფილმი „ყველა მივლენებაში“, 19.50 — „ჩვენი სატელევიზიო ეკრანი“, 20.35 — კონცერტი, 20.55 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 21.15 — „ცისფერ ეკრანზე“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — პარტიის ყრილობის დღიური (გადმოცემა მოსკოვიდან).

მეცხრე არხზე — 12.00-13.10 და 16.35-00.30 ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა.

3 აპრილი

10.00 — ლექცია დაუსწრებელი სწავლების სტუდენტებისათვის, 11.40 — მოსწავლეთათვის. მხატვრული ფილმი, 16.55 — გადაცემათა პროგრამა, 17.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.30 — „უკრავს არტურ რუბინშტეინი“, 18.10 — გადაცემა „ყრილობის დელეგატი“ — თამარ ლაღაძე, 18.20 — კონცერტი, 18.30 — გაზეთ „ქუთაისის“ მეათეათასე საიუბილეო“, 18.50 — კინოჟურნალი, 19.00 — საესტრადო კონცერტი, 19.30 — მხატვრული პროგრამა, 21.50 — კონცერტი პარტიის XXIII ყრილობის დელეგატების დაკვეთით (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.40 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან).

თეატრები

2 აპრილი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — „ტოსკა, რუსთაველის სახელობის დიდი დარბაზი — „ქუთათურები, რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი — „ვახშმობის წინ, მარჯანიშვილის სახელობის — ცხოვრების ჯარა, გრიბოედოვის სახელობის — ეზოში ავი ძაღლია, — ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ალუბლები ჰყვავიან.

კინო

2 აპრილი

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ისანი, საქართველო (წითელი დარბაზი), კოლხიდა, გაზაფხული, პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი — ლებედევი ლებედევის წინააღმდეგ, ოქტომბერი — სიცოცხლესავით წელიწადი, საქართველო (მწვანე დარბაზი) — ჯანყი გურიაში, თბილისი — ცხოვრებამ დამაში განვლო, კომკავშირელი, ბათუმი, ი. ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი — ამაყი გამოწვევა, კოსმოსი, 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი), ოქტომბერი სახლი, ყაზბეგი (პირველი დარბაზი) — მივდივარ ელჭექზე (I-II სერია).

რედაქტორის მოად